



**გაზეთის ფასი:** ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კახ. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სპი თფით 2 მან., თითო ნაბეჭდი—15 კახ.  
 ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—«წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, სხვა-ორის ქუჩაზე, № 35.  
 ტელეფონი № 734.  
 ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакция «КВАЛИ».

**შინაარსი:** ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმას, დ. თფუ-რძისა.—სხვადასხვა ამბები.—კორესპონ.—რუსეთის ცხოვ.—საზ-ღვარ-გარეთ.—ერთგული დედა, მათხ. ტრ. რამიშვილისა.—ლექსი დ. თამაშვილისა. ყურნაღ-გაზეთებიდან.—ჭიათურის მესხეთე კრუ-ბა, გარეშე შეთვალ-ყურისა.—საყურ. კით. უყურად. დაცოვება, ს. ნემეზიდაშვილისა.—მეურ. და მეურნეობა, გ. მარშალისა.—ანგა-რისი გაბ. სსს. აკებულა ბიბლიოთეკისა, კ. ჯინჯისა—წერ. რედ. მიმართ.—განცხადება.

**ПРИЛАГАЕТСЯ ОБЪЯВЛЕНИЕ ОТЪ МАГАЗ. П. С. ДОРОЖНОВА.**  
**ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ**  
**თქმითაც დაზავდება.**

შავი-ქვის მრეწველთა კრება გათავდა, გამგეობამ გაი-მარჯვა (რასაკვირველია, არა ზნეობრივით; ზნეობრივით ის დამარცხდა) და კრების შესახებ კამათმა მნიშვნელობა დაკარგა იმათთვის, ვისაც აინტერესებდა არა პრინციპიალური კითხვე-ბი, არამედ ამა თუ იმ პარის გამარჯვება, ან რომელიმე კით-ხვის მათდა სასარგებლოთ გადაჭრა. მაგრამ შეგნებულნი სა-ზოგადო მოღვაწე, რომელსაც საზოგადოებრივ მოვლენათა მიზეზების გამოკვლევა აინტერესებს, უსათუოთ მოისურვებს ჭიათურის საქმეში „კვალი“-ს და „ცნობის ფურც.“-ს შორის არსებულ უთანხმოების ძირითადი მიზეზები გაითვალისწინოს.  
 ვინც კი თვალს ადევნებდა „კვალის“ უკანასკნელ ნომ-რებს, ის დარწმუნდებოდა, რომ „კვალის“ თანამშრომლები ჭიათურის საქმეებში მხოლოდ გამეფებულ უკულმართობის და უკულმართ ბირობების წინააღმდეგ იბრძოდნენ. არც ერთი „კვალე-ლი“ არ იყო დირექტორათ და არც ცდილობდა დირექტორობა ან სხვა რამ დიდი ჯამაგირიანი ადგილი ჩაეგდო ხელში. არც ერთი „კვალელი“ არ იყო და არც იქნება მრეწველი-კაპი-ტალისტი. მაშასადამე „კვალელებს“ პატიოსანი და გონიერი ადამიანი ვერ დასწამებს ანგარებას, ვერ დასწამებს, რომ რომელიმე მათგანს რაიმე პირადი ინტერესი ამოქმედდებდეს. პირიქით, არა ერთმა „კვალელმა“ ამ ბრძოლის დროს და-ამტკიცა, რომ ის მზათა პირადი ინტერესი ამსხვერპლოს სიმარჯლეს, პირში მოქმედობას; ესევე არ ითქმის ჩვენი მოწინააღმდეგეების შესახებ.  
 „კვალი“ კამათის დროს თავის მსჯელობას, აზრს ამა-რებდა ოფიციალურ და „ცნობის ფურცელ“-„ივერა“-ში გამოქვეყნებულ ფაქტებზე და ამტკიცებდა, რომ:  
 1) ბ. ზდანოვიჩის ცუდათ მიყავდა ჭიათურის მრეწველთა საქმე და არც ერთი კრების მინდობილება სისრულეში არ მოიყვანა. ა) მან გამოიჩინა უმოქმედობა, მან თხოვნების რიგინათ შედგენაც ვერ მოახერხა. ბ) უღალატა იმ ქართველ

მრეწველებს, რომლებმაც რუსული არ იცინა. გ) უღალატა და აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენა წვრილი მრეწველები („შავი-ქვა“); მათ ბ. ზდანოვიჩის წყალობით გაკოტრება მოეწიეს. დ) უყურადღებოთ დატოვა ჭიათურის მუშათა ინ-ტერესები და როცა მათთვის სასარგებლო წინადადება შე-მოიტანეს, ის წინააღმდეგი გაუხდა, ან კითხვა სრულიათ გა-დააფუჩჩია. ე) ის მფარველობას უწევდა ჩარჩ-ექსპორტიორებს. ვ) ის სათავეში უდგია ერთსა და იმავე დროს ისეთ დაწე-სებულელებს, რომ შეუძლია ჩაიღინოს საშინელი სიყალბე და კიდევაც... ზ) არჩევნების დროს ის არ დაერიდა არც ერთ იმ საზიზღარ საშუალებებს, რომლისთვისაც ასე აძაგებდა კ. ჩიკვაძეს და ბევრში კი კადეც გადააქარბა; მან ხელში ჩაიჭირა წვრილი მრეწველები („შავი-ქვა“), ხელში ჩაიგდო ჭიათურის ბანკი და ამნაირათ ბევრი მისი უკმაყოფილონი იძულებული გახდა თეთრი ჩაეგდოთ მისთვის.  
 ასეთი პირის და ასეთი უკულმართი მდგომარეობის წი-ნააღმდეგ ბრძოლა მიგვაჩნდა და მიგვაჩნია ჩვენ ყოველი მართებული მოღვაწის მოვალეობათ და ამას ვემსახურებით სულით და გულით.  
 2) ბ. ზდანოვიჩი და მისი „ობრჩინიკები“ ქართველი მანამისტებია. მათი სურვილია წვრილი მრეწველების გულ-უბრყვილობით და გაუგებრობით ისარგებლონ და თავის ჯი-ბეები გაისქელონ.—აქ მთელი სისტემაა, მთელი კავშირია ყალბ საზოგადო მოღვაწე-ინტელიგენტთა თავის კერძო ინტე-რესების დასაცველათ. და ამათი „მოღვაწეობის“ დახასია-თება აუცილებელი საჭიროა, რომ საზოგადოებამ შეიგნოს ვის სცემს თაყვანს, ვის უკმევს გუნდრუქს.  
 3. უკანასკნელ, საჭიროა გამოკვლევა და გამოაშკარავება იმ საზოგადო მიზეზებისა, რომლის წყალობით შესაძლე-ბელი ხდება ასეთ სიყალბის ჩადენა; საჭიროა დახასიათება და დაფასება ასეთ ბოროტ-მოქმედებისა და ამ სიყალბე-სი-ბოროტის დამცველ პრესისა.  
 აი რა მიზანს ემსახურებოდა და ემსახურება „კვალი“ დე აი რისთვის იღებდა ის აქტიურ მონაწილეობას ოპოზიციაში.

აღნიშნულა მუხლები დასამტკიცებლათ „კვალში“ მოყვანილია აუარებელი ფაქტები (იხ. სტატიები: ბბ. მარმალადის, გარეშე მეთვალყურის, ნემეზიდაშვილის და „შავი-ქვის“ წევრთაგანის) და ეს ფაქტები დღემდე დაურღვეველია დაწესა.

„ცნობის ფურცელი“ არც კი ცდილა წინააღმდეგის დასამტკიცებლათ საბუთები მოეყვანა. ამიტომ სანამ „ცნობის ფურცელი“ ფაქტებით არ დაამტკიცებს ჩვენი საბუთების და მათზე დამყარებულ მსჯელობის უვარგისობას, სანამ ის წინააღმდეგურათ უსაბუთოთ ამართლებს ბ.ნ ზდანოვიჩის და კომპ. მოქმედებას, მანამდის სრულა უფლება გვაქვს მას ქართული ხანამსტების ქაზაგი ვუწოდოთ.

ვინც საბუთების წინამძღვე უსაბუთოთ და დაჩინებით იბრძვის, მის გულწრფელობას ჩვენ ვერ ვენდობით, მის უანგარობას მაინც ვერ ვაწამებთ. შეიძლება „ცნობის ფურცელი“ აქვს გულწრფეობა, მაგრამ მისი გულწრფელობა ბურჟუაზიულ შეხედულობაზეა აღმოცენებული. ამ შემთხვევაში მისი რწმენა და იდეალი ძირითადად ეწინააღმდეგება ჩვენ რწმენას და იდეალს. ის ეტრფის, მას აკმაყოფილებს ის, რაც ჩვენ გვძულს. ერთი სიტყვით, ის მოღვაწეები და მოღვაწეობა, რომელთაც „ცნობის ფურცელი“ აღმერთებს, ჩვენ მოღვაწეებს და მოღვაწეობას წინ ეღობება. ჩვენ შორის სრული წინააღმდეგობაა... ის ებრძვის ყველას, ვინც გამოდგმელთა გასუქებაზე არ ზრუნავს.

ეს გასაკვირველი არაა. ის თავის არსებობას იცავს, და თავის იდეალს, თავის ინტერესებს ემსახურება. ესაა მისი საზოგადო მოღვაწეობა. მარა აქ ღირსშესანიშნავი ისაა, რომ ამ კითხვის შესახებ უთანხმოება „ცნ. ფურც.“ რედაქციის ბელადთა და ბ. სიტყვას შორის მხოლოდ ერთი და ისიც „არაპრინციპიალური“ უთანხმოება ყოფილა. მაშ პრინციპიალურათ ისინი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან. ჩვენ ზევით ვნახეთ, რომ „ცნ. ფურც.“ მოქმედება ამ შემთხვევაში პირმოშო შეილია მისი ბურჟუაზიული პრინციპებისა. მაშ სჩანს ბ.ნი სიტყვაც იმ დროშას აფრიალებს, რომლის ქვეშ ასე უკბილოთ იბრძვის, „ცნ. ფ.“ რედაქცია. ამ შემთხვევაში ბ. სიტყვა გულწრფელათ ლაპარაკობს, როცა აღიარებს, რომ მის თანამოაზრე „ცნ. ფურც.“ ბელადები ჭაითურჯას საქმეებში საზოგადო ინტერესებით ხელმძღვანელობენ.

მაგრამ ნუ თუ შესაძლებელია, რომ ადამიანმა ქურდობა პრინციპიალურათ დაგმოს და პროფესიონალურ ქურდს კი ქურდობაში ხელი შეუწყოს? რასაკვირელია არა. ვინც ქურდობას ხელს უწყობს, ის ქურდობას ზინძინიალურად არ უარყოფს, მაშასადამე... ქიათურის საქმეებში ბ. ზდანოვიჩის ქომაგი პრინციპიალურადაც მისი თანამოაზრეა და თუ ბ. სიტყვა და „ცნობის ფურცლის“ რედაქციის შორის პრინციპიალური უთანხმოება არაა, მაშინ...

საკვირელია, რომ ბ. სიტყვას, რომელიც „კარგათ იცნობს ქიათურის საქმეებს“, ვერ შეუმჩნევია, თუ რა პრინციპიალური უთანხმოება უდევს საფუძვლათ „ცნობის ფურცლის“ და „კვალის“ ბოზიციის ქიათურის საქმეებში. ეს „საფუძველი“ ის „საფუძველი“, რომელიც „კვალს“ და „ცნობის ფურცელს“ სხვადასხვა ბანაკის წარმომადგენლათ ხდის. მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ ბ. სიტყვა და „ცნობის ფურცელი“ რას უძახიან პრინციპიალურს და არა პრინციპიალურს? მიბრძანეთ ერთი: ყველა ის სიტყვად, რომლის ავტორი ბ. ზდანოვიჩი და მისი მომხრეებია, ეწინააღმდეგება თუ არა იმ პრინციპებს, რომელსაც ემსახურება ბ. ზდანოვიჩი და კომპ.? კი თუ არა ბ. სიტყვად?

ეს ერთი.

მეორე. ბ. ზდანოვიჩის „პრინციპები“ ეთანხმება თუ

არა „ცნობის ფურცლისას“? თუ კი—მაშინ ხომ. ბ. სიტყვად, თქვენ და ბ. ზდანოვიჩი ერთი ღმერთის ქურუმები ყოფილხართ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენ ვართ ილი ბრძანდებით, ის კი—არა.

**გივლირთქვა**

უკანასკნელ, ერთი მცირე შენიშვნა კიდევ. მიბრძანეთ, ბ. სიტყვად, რომელი „მწერალი“ გაცხარდა იმდენათ, რომ შავი ქვის მწარმოებელთა თვითმართველობის გაუქმებას თხოულაობს და ვის უქადაგებთ თქვენ „ცნობის ფურც.“ გვერდებზე: „რაც უნდა დაცემული იყოს თვითმართველობა, ჩვენ ნება გვაქვს ვიბრძალოთ და შევიტანოთ უკეთესობა თვით-მართველობაში და ყოველთვის უნდა ვაუჯობინოთ თვით-მართველობა ადმინისტრაციულ წეს-წყობილებას“-ო?

ვის უხსნით, ვის უმტკიცებთ ამას? ან რათ დაგჭირდათ „ივერიის“ მეთაურის მარგალიტებით თქვენი წერილის დამშვენება?

რისთვის, ან ვისთვის დაგჭირდათ უადგილოთ სიტყვების ამდენი რახა-რუხი?..

თვით-მართველობაზე ლიბერალური ფრაზების წამოსროლით და სიტყვების გაბრტყელებით ბ. სიტყვა გვიჩვენებს, რომ „ივერაული“ თვისებები ჯერ ისევ ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი.

ამნაირი ზრგჯესაული აზრების გამოთქმას ისევ გაჩუმება ჯობდა.

აჲ ამაზე იტყვიან:

ზოგჯერ თქმა ჯობს არა თქმასა—ზოგჯერ თქმითაც დაშავდები.

დ. თოფურიძე

**სხვადასხვა ამბები.**

11 თებერვალს, ღამით, გარდაიცვალა ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს უფროსი ექიმი ა. ა. პავლოვსკი. განსვენებული ცნობილი იყო, როგორც ჩინებული პსიხიატრი. ა. ა. პავლოვსკი კარგა ხანს განაგებდა სულით-ავათმყოფთა სახლს და მერე დანიშნულ იქნა მიხეილის საავათმყოფოს უფროს ექიმათ.


თფილისის ქალაქის მოურავის არჩევანი დანიშნულია 24 თებერვალს.

„წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობას“ საკუთარი ექიმი მოუწვევია თავის სტამბაში მომუშავეთათვის. ექიმი კვირაში ორჯელ მივა სტამბაში და ყოველ საჭიროების დროს იქ მომუშავეთ დახმარებას აღმოუჩენს. მუშებისათვის ექიმობა და წამალი უფასო იქმნება.

თფილისის ქალაქის მოურავის თანამდებობაზე კანდიდატებათ ასახელებენ კ. მ. ალიხანოვს და თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლოგორუკოვს.

თფილისის პოლიცემისტერს შეუნიშნავს, რომ პოლიციელებს ხშირად თვითონ მოჰყავთ ისინი, რომელთაც პოლიცემისტერი ამა თუ იმ საქმისთვის იბარებს ბოქაულების შემწეობით. ახლა განკარგულება მოუხდენია: დაბარებულს მხოლოდ უწყება ჩააბარეთ დაბარებისა და მოსულა კი თვითონ დაბარებულმა იცისო.

11 თებერვლის სხდომაზე ტფ. ქალაქის გამგეობამ განიხილა განცხადება სტამბის პატრონის ვართანოვისა—მიეცეს მას ქალაქის გამგეობის ყველა სასტამბო საქმეები. ქალაქის



გამგეობამ მიიღო სახეში ის ვარემოება, რომ ვართანოვი სხვებზე უფრო იათათ უბეჭდავს გამგეობას უველა ბლანკებსა და მოხსენებებს და გადასწყვიტა, უველა სასტამბო დასაბეჭდი საქმეებში იჯარით მისცეს მეტამბეს ვართანოვს.

ხუთშაბათს, 13 თებერვალს, ქართ. დრამატ. საზოგადოებამ ვენიდან შემდეგი დებეშა მიიღო, რომელიც იტყობინება, რომ ვლად. ალექსი-მესხიშვილი უკვე ვენაში ჩასულა. მგზავრობის დროს თურმე ცუდათ გრძობდა თავს, ოპერაციის დღე ჯერ არ არის დანიშნული.

სამშაბათს, 18 თებერვალს, დანიშნულია სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება.

სახელმწიფო საბჭოს დადგენილების ძალით სოფლის საზოგადოებათ ჩვენს ქვეყანაში ნება ეძლევათ კერძო კრებები გამართონ საეკლესიო სამრევლო საქიროებათა გამოსაკლევათ.

„Нов. Обозр.“-ს შეუტყვია, რომ იზიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს ი. კ. ივანოვსკის თავის თანამდებობიდან ვადაყვანის შესახებ ხმები სიმაართლეს მოკლებულია. ივანოვსკი დროებით რჩება პეტერბურგში, რომ მონაწილეობა მიიღოს გზათა სამინისტროს მისოვდოვ-ივანოვის თავმჯდომარეობით გახსნილ კომისიაში, რომელიც უნდა შეიმუშავოს ზომები რკინის გზის მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად და რკინის გზაზე უბედურ შემთხვევათა რიცხვის შესამცირებლათ. ინჟინერი ივანოვსკი დაბრუნდება ტფილისში მარტის თვეში.

თფილისის ქალაქის თავის მოადგილეს შესტაკოვს წინადადება შეაქვს დიდუბეში ხორცის დუქნის გახსნის შესახებ და თხოულობს ამ საქმის მოსაწყობათ სუბსიდიის გადაღებას.

ორშაბათიდან ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესხია ბათუმში მიღის; სხვათა შორის სესხია ვაარჩევს ბათუმში როტშილდის ქარქნებში მომხდარ არეულობის საქმეს.

ბაქოს მუშათა ბირჟაზე ბევრი უსაქმით დარჩენილი ხელია, მოთხოვნილება კი ძალიან მცირე. მთელი პარტია სამხრეთით მდებარე ადგილებიდან მოსული მუშებისა უსაქმოთაა დარჩენილი.

### კორესპონდენციები.

**ს. დიდი-ჯიხაიში.** ჩვენა მეთხველები დიდი ხანია იცნობენ ამ სოფელს, რადგანაც მის შესახებ არა ერთხელ იყო დაბეჭდილი სხვადასხვა ცნობები ქართულ ჟურნალ-გაზეთობაში. აქ რამდენიმე საზოგადო დაწესებულებაა დაარსებული, როგორც, მაგ.: ბანკი, ქსენონი, ბიბლიოთეკა, სამარხი კასა და სხვა, რაც საზოგადოების, უმეტესთ გლეხ-კაცობის, წელში გამართული, გაჭირვებაში მშველელია. მაგრამ არ შეკვიდრია გულმტკიცეულობით არ აღენიშნათ რამდენიმე ხელი ამ სოფლისა. რამდენათაც სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებებით ამ სოფელს წინ წაუსწრია სხვა ზოგაერთი სოფლებისათვის. იმდენათ იგი გზის მხრით უკან ჩამორჩენია მათ. გზები აქ სწორეთ შირველყოფილ მდგომარეობაშია. სხვას რომ თავი დავანებოთ, შავ შუაგულ «ბახარში», «ბუღაური ვერ გაატანს». აქ ოთხშაბათობით ბახარობა იცან, რასაც ხალხი ბეღმათ ესწრება და ვაჭარბს; მარა ვაი ამა-

სხვა ეიდვა-გაეიდვას: სწორეთ ხავაი საჭირო, ან სხვა რამე მსაღი ტალახში მოსიარული მანქანა, რომ დუქნიდან დუქნიმდე მიხვიდეთ! დიდი ხანია, რაც ადგილობრივ ადმინისტრაციის უკუხველბა უნდა შეეჭვია ამ გაჭირვებისათვის, მარა სოფლის ადმინისტრაციას დარბეში, როცა მშვენიერი გზებია, დაარებას სოფლებში და პუდრებში კი რა ვასაჭიროს ითმენს სოფლელები, ამასწინ დავიდევთ. ეტლების გადაბრუნება და ცხენების დამტვრევა აქ ძლიერ ხშირია და, აქ რომ შირველეთა შირველეთი საზოგადოების წევრი იყო, აქმების შედგენა ბუღარს არ აცდებოდა. აქ ხშირათ შეხვედრება კაცია, რომ შეეტლეს ავთიმეოფთან მიმავალი ექიმი ზურგში მოკიდებული გადაყვადეს წელს და ტალახებში, ეტლი კი ლაფში ჩაფლული მიეტრეკვინოს. ხშირათ შეხვედრით აგრეთვე, რომ შეეტლეს და ფერშალი, ორივე წელადის ტალახში ჩაფლულნი, ეტლს გულუჭებოდენ: ადგილობრივი პოლიცია კი ამას აინუნშიაც არ იგდებს. დრო კია, უურადლება მიექცეს ამ სატყავარს. არ შეკვიდრია აგრეთვე გულახდილათ არ ვუსაუვედუროთ აქურ ინტელიგენციას ბიბლიოთეკის შესახებ. მეხუთე წელა, რაც აქ ბიბლიოთეკა დაუარსებიათ და სახელი ხეირანს ადგილას ვერ მოუნახავთ. ახლა ბიბლიოთეკა ნაჭირაკებ სახლშია და მეთხველისათვისაც უსერხულია, რადგან ხშირათ მოხდება, რომ ვითხეის დროს მოქეიფე «ძის ბიჭების» «მრავალყამიერ-მადლობლებს» მეთხველს სმენა დაუტკობს. მოქეიფეებს ხომ, საუბედუროთ მეშა ხალხიდანაც, აქ თათქმის უოველ დღე და დამე შეხვედრით.

დასასრულ უნდა შევნიშნო, რომ, თუმცა ჭახაიშლებს კი აქეთ აქურთი ნორმალური სკოლის ზედამხედველის მუყათი შრომით გამშვენიერებული ორკლასიანი სამინისტრო სასწავლებელი აგრონომიული განყოფილებით, ერთკლასიანი საქალბო სკოლა, სადაც აგრეთვე საქსოვი განყოფილებაა და ერთი სამრევლო სკოლაც, მარა დიდ ხალხუღვანებათ უნდა ჩეთვალოს აქურ ინტელიგენციას ისიც, რომ ამდენს საკვიროს შეკლას არ დაუარსებიათ. საკვიროს შეკლას შემხსენებულ შეკლების გარეთ დარჩენილ წერა-კითხვის უცოდინარ შირს სასწავლებს მისცემდა, ოდნავ მანც დაემაყოფილებია ჩვენი დროის მოთხოვნილება—წერა-კითხვის შექენა.

ჩვენ გადმოგვცეს, თითქო ქ-ნ ლოლას გომართლისას განუზრახოს აქ საკვიროს შეკლის დაარსება. თუ ეს ხმა გამართლდა, სწორეთ რომ სასურველი და საჭირო საქმე განუზრახავს ქ-ნ ო. გომართლისას. უკველათ ადგილობრივი სასწავლებლები და ინტელიგენტებიც მხარს დაუჭრენ მის და დახმარებას არ მოაკლებენ თავის მხრით ამ ფრად სასაქაღულთ და სასარგებლო საქმეში.

ლ—ო ყარობი.

**მათხოჯი.** (ამერეთი) შეიძლება მატეოტეშულმა მეთხველმა კიდევ იცან, რომ ამ სოფელში საზოგადო ექენია არსებობს 1899 წელან. შირველათ ამ დუქნს ეველს ეჭვის თვალით უუერებდა, არვინ მასგან ხეირს არ გამოელდა, მარა ასეთი შეხედულობა მალე უსაფუძვლო გამდგა. დუქნის წარმატებაში, კეთილნათყოფიერებამ სოფლელებს ცხდათ დაახანვა, რომ ისინი ცდებოდენ. რასაკვირველია, აქ მადახიან რომ კარგი ინიციატორი და სელმძღვანელი არ ეოლდა, დღეს ასეთ წარმატებაში არ იქნებოდა. რომ ამ დუქნის ინიციატორი ზოგაერთ ჩვენ ბედოვლათ, ინიციატორებთავანი: ეოფილიყო, ამ დუქნის დღეს კვლაც არ იქნებოდა. ისეთს ნადავზე შეიქნა ამ დუქნის საქმეები დამდგარი, რომ მისი შერევა საჭკოა, რასაკვირველია, თუ მადახიან ინიციატორი, ბ. ღ. ჩამაკაქ იქნება მისი სელმძღვანელი ჟურ-ჟურობით მანც, სხანამ შესაფერ მოადგილეს მოიბოუბდეს. დაინახეს თუ არა სხვა სოფლებში ამ დუქნის სარგებლობა, თავანთ სოფლებშიაც მოიხურკეს დაარსება ასეთადუქნის და ერთ სოფელში უკვე დაარსეს. 12 ახვარს; მიმდინარე წელს, ამ მადახიაში იყო წლიური კრება. დუქნის მონაწილეებთათქმის ეველს შეიკარბა; კრებაზე გამოარკვა, რომ ამ წლის I ახვარსმადახიანს ქენია აქტევი: საქანელი—3337 მან. 40 კ., დუქნის

შენობა—1800 მან, ფარდული (ზარკის) 500 მან., ხაღდი 594 80 კ. ნოსია—1386,8 მან.; სულ 7618,61 მან. მასსიკი: წილის ფული—4666 მან. 2 კ., სესხი—790 მან., სთადარიგო თანხა—410 მან. 91 კ., შემოსავალი—77 მან., ბიბლიოთეკა—30 მან. გადასახადი—70 მან. 64 კ., სულ—6014 მან. 67 კან. გაუსტუმრებელი ფასი საქონლის—320 მან. დუქანს დარჩა წმინდა მოგება 1254 მან. 16 კ., თუმცაზე მონაწილე კრგო 20 კ. უნდა შეენიშნათ, რომ შარშან დუქანს შენობა დაფასდა 1,945 მან. 78 კან., წელს კი 145,78 მან. ნაკლები, შარშან ზარკის სხმობი ფარდული დაფასდა 650 მან. წელს კი 15» მან. ნაკლები; ასე რომ ეს სამს მანეთამდე ფული წმინდა მოგებას გამოაკლდა, თორემ მოგება, როგორც სჩანს, 1550 მანეთამდე მაღლდება.

როგორც ხედავთ, მოგება საგრძობადედა ერთა სრულფასოვან და ბევრი რომ წახადვდენ ამ მაგალითს ცუდი არ იქნება.

ჩვენ სოფელში ამ სამთარში სამიკიტნობში ძალიან გასშირდა კარტის თამაში; დიდიან სადამოძღო ხოხოსნები ამით ატარებენ დროს. აუბენ თემობით და ცდ მანეთობით ფულებს ისეთი ფაუბატონები, რომელთა მშობლები, ან ცოლშვილი ამ სამთარში კერძთან საცოვით კვდება. ამ მოქმედებს არც მღვდელია, არც ბერი, არც მამსახლისი ურადლებს არ აქცევენ და რა დღე ბედნიერს უყურებენ კი არ ვიცით.

ვარლამ ხუროცი.

**რუსეთის ცნობრება.**

მადნებში მომუშავეთა უფარცხობების გასაუმჯობესებლათ ამ დღეებში შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელს თავმჯდომარეა მანა მოქმედების მინისტრის ამხანაგი. მთავრობ სავან განსაკუთრებულ კომისიას დანიშნა ამ საქმის გამო, ხოლათ მოწმობს, რომ მთავრობს გუდმოდგინეთ მოკეიდება დასახლებულ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებს და იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ სხლო მომავალში ვეღარსებით რაიმე თვალსაჩინო ცვლილებას.

— გასულ დეკემბერში გაძღაერებულა დაცვა წესებას ვად გათვდა და ჩვეულებრივი წესები შემოდებულ იქნება ვატუბკში, სამარში, დვანსკში, კიმიხვში, არხლავში, უსანში და რიგაში. ერთა წლათ გაძღაერებულა დაცვის წესები გავრცელებულ იქნ ქ. პოლტავაში, სარატოვში, მოგილეში, კომელში, მანსკში, ბელგსტრკში, ნაყინ-ნოგოროდში, ტომსკში და მარტოში: პოლტავისა, კონსტანტინოგრადისა, პერეასლავისა, ლუბნსკისა და კრემენჩუგისა. სხლო შემოდებულ იქნა გაძღაერებულა დაცვა ერთი წლის ვადით სარატოვის გუბერნიაში.

— „Правит. Вѣсти“-ში დაბეჭდილია ფინანსთა მინისტრის გამოცხადება: საზღვარ-გარეთელ შრესში დაზარკია, ვითომ რუსეთს მიმდინარე წელშად აზრათ აქვს სასულემწიფო სესხი აიდოს ერთ-ერთ საზღვარ-გარეთის ბზარზე. 1903 წლის ხარჯთადრიცხვადან ჩანს, რომ ასეთ სესხს სასულემწიფო არ საჭიროებს, რადგან სასულემწიფოს მოსაღდენელ შემოსავალს და სასულემწიფო ხანაში არსებულ თანხას თამამით შეუძლია დაფაროს უგულა მოსაღდენელი ჩვეულებრივი და არჩვეულებრივი ხარჯები 1903 წლისა. ამიტომ უფელეგვანა მეთქმა-მეთქმის მოსახლობლათ ფინანსთა მინისტრი საჭიროთ თელის გამოაცხადოს, რომ მიმდინარე წელს რუსეთის მართველბა არავითარ სესხს არ აიდებს არცერთ საზღვარ-გარეთელ ბზარზე.

— ამ ხანებში კომერციულმა სასამართლომ განიხილა საქმე ცნობილი რამისა, რომელიც „Жив. Обзор“, „Самообразование“, „Народ. Здр.“ და „Хоз. и Тех.“-ს გამომცემლათ ითვლებს. მოვალეების სწიფრის გამო მის ქონებაზე ადმინისტრაციის ზედამხედველობა უნდა დანიშნულიყო, ან კონკურსი უნდა გამოცხადებულიყო. მოვალეების უმრავლესობა შირველი აზრის მომ-

ხრე იყო, სასამართლომაც მათი თხოვნისამებრ გადაწყვიტა ადმინისტრაციული ობეკის დანიშვნა.

— როგორც შევითვეთ უგულა შემუშავებით შროგრამა შირველი-ვის სახელობაზე მეურნადთა მე-9 კრებისათვის. ამ შროგრამაში ბერი საუურადდებო საკითხია მოქცეული, რომ მაგალიათ: სხარტრულ წესების შემოდება ქარხნებში; სამუშაო ფასი მუშებისა; დახლვევა აკადმეოფობის და საკვიდილასავან მუშებისა ქარხნებში; მუშების სწავლა-განათლებლის საქმე; უზრუნველ ყოფა მუშებისა ავადყოფობისა და სიბერის დროს და სხვ. შროგრამა გულთა მდგომარეობასაც ვრცლათ ეხება.

— როგორც სატარტო ქალაქებს, ისე შირვიციებში მრავლდება სხვადანხვა დაწესებულა მუშა საფასისათვის. სხვათა შორის არსდებს მუშათა კლუბებიც. ამგვარი კლუბი სხლო გაუსხნათ დონის როს ზოვშიაც მუშა ქალებისათვის. კლუბში თავდაზარკელადკე 187 წევრი, მუშა ქალი, ჩაწერილა. კლუბში, რომელს დამაარსებელია „საღვანდა ქალების სამსრუნველო საზოგადოება“. წაიკითხვენ შოპულიარულ ლექციებს, მოაწეობენ სასტუმარურ კურსებს შეცნაერების ამ თუ ამ დარკისას, გამართვენ წარმოდგენებს, კონცერტებს, საცეკვაო სადამოებს და სხვ. კლუბში მხოლოო ქალებს მიაღებენ.

— გასულია „ნოვოსტა“ წესს: 8 თებერვალს პეტერბურკის უნიკერსიტეტში ჩვეულებრივი სადელესაწაულა აქტა არ ყოფილაო, რადგან უნიკერსიტეტის ბიბლიოთეკაში რემანტა და წიგნები სასაქტო დაბზარშია გადატანილიო.

„ნოვ. ვრემა“-ს კვირიდან დეპტათ ატეობანებენ: წელს აქუგნს უნიკერსიტეტში სადელესაწაულა აქტა არ გაამართებო.


— პეტერბურკში არსებულ ბეჭდითა საქმას მოვალე-მუშათა დამხმარებულ საზოგადოებას სესტარკეცში სახანო მანა კობის დაგრდომალ მუშათათვის სხარტობის სასშენებლოო.

**სასლვარ-გარეთ.**

**სპარსეთი.** შირდაზირ, არა-შირდაზირ და სხვა ათსკვარ ამისთანა გადასახადებს გარდა სხარსეთის შანს და მის მოსელეებს კიდევ ბევრი შეტათ სხირებულა გადასახადების მოკონება სცოდნათ. მაგალიათ, ამას წინათ, დიდებულმა ვიზირმა ათბეგ-აზამამ უგულა სხარსეთის ქალაქებში გუბერნატორებს შემდეგი შინაარსის ტელეგრამა გაუგზავნა: „მისმა დიდებულებამ შანს სადარობის დროს კეებერთელა ვეფხვი მოკლა. ამ გარემობის აღსანიშნავთ წინადადებას გაძღვოთ, გამართოთ განსაკუთრებული დელესაწაული. სადელესაწაულთ საჭარო ხარჯი კი მტროგრებლებისავან აჭკრიფეთ“ დღეობა რასკვირველია, გადასდილ იქნა. გუბერნატორებმა ტელეგრამის მიღებისათხავე უბძანეს თავის ხელქვეითებს ფული აკერიფათ მოსელენიც მოკდვენ ქალაქებს... ბერათ თუ ცოტა შემდებულა მტროგრებნი იხდიდენ 2—3 მანეთამდე, სლო დარბ-დატაკების უკანასკნელი ქვებში, ფარდაგები და საოჯასო ნიფთები უმოწელოთ იეიდებოდა მოსელეებისავან ჩაღის ფასათ, რათა ისინიც არ ჩამორჩენდენ შეძლებულთ და საზოგადო „ბედირ დელესაწაულის“ მოწეობაში თავიანთი წვლილი შეეტანათ!..

**ოსმალეთი.** სხარსეთის მსკავსი სხირებულა გადასახადები, რასკვირველია, ოსმალეთშიაც ბევრი მოიძებნება, მაგრამ არა იმაზე ნაკლებ სხირებულ ჯამიგირებს იღებენ აქურა მინისტრები. მაგალიათ, ფრანგულ გაზეთ „Cri de Paris“-ის სატევიო, ზღვების მინისტრი წლიურათ 414.000 ფრანკს ანუ 170.000 მანეთს იღებს. გვარაინი გრაშეობი თუ შენც დამეთანხმები, შეითხველო!

— ამ ვაუბატონის ჯამიგირი თფით დიდებულა ვეზირის ჯამიგირსაც კი ადემიტება. ვეზირის ჯამიგირი 331 ათსი ფრანკი ანუ 127.500 მანეთია. ამგვარსავე ჯამიგირს იღებენ სამსედრო და კიდევ ორი-სამი სხვა მინისტრი: შინავან საქმეთა, განათლების, გარეგან საქმეთა და საზოგადო სამუშაოს მინისტრები 220,000



ფრანკთაგ ანუ 85,000 მანეთითაც იქნათ მიღან. ფინანსის მინისტრს 193,000 ფრანკი ეძლევა, ხოლო უველასე მცირე ჯამაგანს შთა-მადნების მინისტრი ადებს, სულ—138,000 ფრანკს, ანუ 53,200 მანეთს. ეს მინისტრი კი სწორეთ შესაბამისა... რაგორც ამბობენ, ასმაღლეთის ზღვევის მინისტრს 60 მილიონი ფრანკის ჯანება შეუძნია, რაც იმის დამატებითაც, რომ ეს კურთხეულის შვილი სხვა დინსებასთან ერთათ მეტი უინათიანი ყოფილა. ამნათათ ასმაღლეთის სულთანის მინისტრები (სულ 14 კაცი) წელიწადში 3,700,000 ფრანკს ანუ 1,424.500 მანეთს იღებენ. თვითთული საფრანკეთის მინისტრი კი — დასძენს გაზეთი, — წელიწადში 60,000 ფრანკს ანუ 23,000 მან. იღებსო, ხოლო მინისტრების მთელ კარზობრაციას (თერთმეტი კაცი) 660,000 ფრანკი ანუ 254,000 მანეთი ეძლევა. ამნათათ საფრანკეთის თერთმეტი მინისტრის ჯამაგარი მხოლოდ 84 ათასი მანეთითაც მეტი ოსმაღლეთის მარტო-მარტო ერთ ზღვევის მინისტრის ჯამაგარზე ..

**მაკედონია.** მაკედონელების ჯანება ამ უკანასკნელ ხანებში ისევე გაწივრდა. რაგორც ბოლგარიის გაზეთები ვაღმგვრებენ მუამოხეთა საქმე ჯერ-ჯერობით კარგათ მიდის. მათ შეტაკება ქქონდათ მთავრობის ჯარებთან სოფ. ცარანოვის მხლდად და სულ მუსრეი გააღლეს ოსმაღლეთის ჯარს, რომელიც ორი რაზმისაგან შესდგებოდა. ამ ამბავმა ელდასავით გამოაღინა მთელი მაკედონია, და უველას იმედი ჩაუხერგა გულში. გულგატეხილ და სასწრაფოთლებში ჩაცვიფრულ ხალხს ისევე სასაოებით აუძევრდა გული და მისი ახლ-ახალი ჯგუფები მუამოხეთ უერთდებან. ამ გვარათ სამი დიდი სოფელი შეუერთდა ჯანებულთა რაზმს. ამასთანავე მდიშევის მთელ ოლქს მოედვა არეულობა. უკანასკნელ დროს მომხდარ შეტაკებაში თავი იჩინა გამგონისობით მუამოხეთა წინამძღოლმა დონჩომ, რომელიც ცარანოვთან შეტაკებაში მეთაურობდა.

თვითონ ოსმაღლური გაზეთები სულ ეახებ ცნობებს იძლევიან მაკედონიის მდგომარეობის შესახებ.

ოსმაღლეთის მართველობა ამბობენ სახდგრებს, რომ შეუძლებელი გახდა ოსმაღლეთის ჯანებულთა გადასვლა ბოლგარიაში, ან ბოლგარიიდან მაკედონიაში.

სერესკის ოლქიდან, რაგორც კონსტანტინეპოლიდან იტოლზინებინ, ჯანებულები გაამეკა მთავრობის ჯარმა. მუამოხეებმა კრძი კვარის განმავლობაში 85 კაცი მოუკლეს და 28 კაცი ტყვედ ჩაუყარდა მთავრობის ჯარს. დაჭერილები კი მუამოხეებმა თან წაიყვანეს. ჯარის-კაცთაგან ზოგჯერ 14, დაჭრილი— 33. უველ სადღერეს აქლო მდებარე სოფლებში მთავრობის ჯარი ეახს ჩაუენებული.

**ჩინეთი.** ჩინეთში იარაღის შემოტანა სასტიკათ აკრძალულია, მათ ეს სრულიადაც არ აფიქრებს ჩინეთის მთავრობის. რაგორც „Times“-ის კორესპონდენტი იუწყება, ჩინეთის ბოკდინის განსაკუთრებული დეპარტემთ მანდარინობა (გვზინობა) კრძა ერთ მუთხე კლასის ჩინოვნიკს, რომელმაც მთავრობა სასკდმწიფოში კონდრანდით იარაღის შემოტანა. ამ კაცს კვანისის ზღვიანებაში 1.000 მანუზერის თოფი და 300,000 ტყვიის შემოტანა. ჩინეთის იმპერატორი სწერს, რომ ამ ზინის საქმე მით უფრო დასაფასებელია, რომ კვრთბიულებთან ხელშეკრულობის ძალით ჩვენ სასკდმწიფოში იარაღის შემოტანა არ შეკვიძიანო.

**ერთგული დედა.**

(გაგრძელება.—ის. „კვავლი“ № 6).

ამ გულის სიღრმიდან მწარეთ ამოხეთქილმა სიტყვებმა დუბანოლოვის გაცხერებულსა და შემქვარტლულ გრძნობას ცოტაოდენი შუქი მიაყენა.

ოოპ! კარგი, კარგი, რადგან ასეა რა ვაეწყობაო, წარ-

მოსტევა დარცხვნით სულ ვნებათ გადაქცეულმა მოხელემ, სწრაფათ ვალო ტყავის დიდი ჩემოდანი და იმ ას თუმანს, რომელიც იქ ეწყო, ათი თუმანი მოაკლო და სამსტიკანსაში გამომეტყველებით ვადასცა ივანოვანს.

იმავე დროს წავლო მარჯვენა ხელი ნიკაპზე და გესლიანი ლიმილით უთხრა: ოოო, რა პაჟარნი რამ ყოფილხარ, რა მოქნილი ენა გქონია, შე ბებერო კულიანო შენა. უმაღლოდღე ლმერთს, რომ გულკეთილი კაცი ვარ და მდიდარი... უვეცივ მოვლრუბლა სახე და კბილებს კრაქუნით მიახლა შემდგევი სიტყვები, რომლებშიაც ბრძანების კილოს პირველი ადგილი ეჭირა: გაძღვევ ამდენ ფულებს იმ პირობით, რომ ჩემ ქალაქ N-ში წასვლამდე შენი რძალი სრული ჩემი საკუთრება იყვეს, გესმის? გესმის? არავინ არ წამომედავოს, თორემ მოუკლავი არ ვადამირჩები, იცოდე. ეხლა გასწი და ჩემი საქონელი შემომიყვანე აქ. ივანოვანა ვავიდა ცოცხალ-მკვდარი თავის ოთახში, დუბანოლოვი კი გაცხარებული ბოლოთასა სცემდა და თავისთვის ბუზღუნებდა.

— მგონი ბევრი მივეცი არა... მაგრამ ЧОРТЪ СЪ НЕЮ, სულ ერთია, ამ ერთ თვეს ხომ უზრუნველყოფილი ვარ ამ მხრივ და... უკანა ოთახში კვლავ მოისმა ჩურჩული და ქალის გულ-საკლავი ქვირინი, რომელიც მალე შესწყდა და დუნიაში, ეს ნიკანორის საყვარელი ცოლი, ივანოვანს დაუფასებელი რძალი და მეოჯახე, გამოვიდა თვალ-ცრემლიანი ოთახიდან, რათა ძალა-უნებურად ჩავეროდა გულ-მკერდში უცნობ კაცს, მის პირუტყვეულ ღინის დასაკმაყოფილებლად. მისმა სიძე-ცხვლისაგან და ტანჯვისაგან წამოწითლებულმა ბავშური მორცხვობით სავსე სახემ ჩვენი ქალების მუშტარი მთლათ მოხიბლა.

— ოხ რა კარგი რამა ხარ, ჩემო ათთუმნიანო დულცინეა ოხ, როგორ მომწონს მე შენი მორცხვობა, შენი ცრემლები...

მოჰხვია ხელები და ტახტისკენ გააქანა, რასაც გაუმადლარი კოცნაც მიაცოლა ОХЪ! КАКЪ ЭТО ВСЕ ПОЭТИЧНО И ИДЕАЛЬНО. აღტქმულ ქვეყანაში ვარ სწორეთ, აღტქმულ ქვეყანაშიო, შეუბერა სანთელს და ორივენი ლამის წყვილიდა დაფარა.

ქვეშ-ქვეშა კირილკას ფრთხილ თვლებსაც არ გამოეპარა ეს დროებითი ქორწილი ბატონისა ქორთუა დიასახლისზე და ბრახ-მორეული სულ იფურთხებოდა. აი რაში ყოფილა საქმე. მაშ თავისთვის უნდოდა, და იმიტომ არ დამანება მიკოლას ცოლის მოყვანა? მაშ ამისათვის დამაკარგვია ამ ქოფაკმა ხუთი მანეთი თვიურათ? მე კაცი არ ვყოფილვარ, თუ ეს ამბავი ღრიცკოს არ ვუთხრა და მალე მთელ სოფელსაც არ მოვფინო.

როცა ცბიერმა ღრიცკომ სიდვდრისაგან ხსენებული ათი თუმანი მიიღო მამასახლისის თანადასწრებით, ერთი, რომ ძლიერ ეწყინა, რადგან ეგონა ფულს ვერ ჩამაბარებს, და სახლი და ეზო მე დამრჩება, ისინიც ყმებათ გამიხდებიანო. დიად, ეწყინა და იმავე დროს ძლიერ გაუკვირდა.

ვინ მისცა, სად იპოვა ამ დედაბერმა ამოდენა ფულე-ბიო.

— მის მოუსვენარ ბუნებას როგორ შეეძლო არ გამოეჩხრიკა რამენაირათ მიზეზი ასეთი არა ჩვეულებრივი მოვლენისა.

— ჰმ... სამ დღეში ათი თუმანი ჩამაბარა, მაშინ როცა ათი თუმანი თვალითაც არ უნახავს ჯერ, აქ რაღაც ეშმაკობაა—დაამთავრა ფიქრი და გადასწყვიტა თავდაპირველათ კირილკასათვის ეკითხა. ასე, რომ ესენი ერთი მეორეს ეძებდნენ. ერთი დასაბეზღებლათ, მეორე ახალი ორმოს სთხრელი იარაღის საპოვნელათ. ნახეს ერთმანეთი და ღრიცკომ

ყველაფერი გაიგო და დიდხანს, ძლიერ დიდხანს იცინა.

აიდა, სიდდერო! ხა-ხა-ხა-ხა! აი რაში ყოფილა საქმე... ხა-ხა-ხა! сводница проклятая ხა-ხა-ხა!

მეექვსე დღე მიდიოდა, რაც ღუბანოსოვი თავის ვალს ღუნიაშას სისხლიდან იქვითავდა. ის დღე პარასკევი იყო.

ჩრდილოეთის ცივი შემოდგომის დღე მთელი თავისი ძლიერებით გამოჰიმულიყო. უმწვერვალესი სიცივისაგან ვაგლახათ ჩაკმულ კაცს კარში არ გამოესვლებოდა. გამვლელ-გამომვლელი მამაკაცების წვერ-ულვაში და წარბი თოვლის თეთრ სუდარაში ეხვევოდა. შინაური ოთხფეხი საქონელი ბაგაშიაც გრძობდა კარში გამეფებულ სუსხის ძლიერებას, ხშირ-ხშირათ წამოიბღავებდნენ და მოუსვენრათ ტოკავდნენ, ძაღლების საცოდავი წკმუტუნ მთელ სოფელს აყრუებდა. მდინარე კამა უკმაყოფილოთ მირუხრუხებდა მაგარ ყინულ ქვეშ. ასე მოულოდნელათ დაზამთრებას ჯერ არავენ მოელოდა. იმას რა უჭირდა, ვინც სოფელში იყო. ვაი იმას ვინც ამ საშინელ დღეს მინდორში მომწყვდევლიყო საყანე ადგილების მოსახნავათ. ამ უბედურთა შორის ჩვენი მეგობარი ნიკანორიც ერთი.

ივანოვნაც და ღუნიაშაც მთელი ეს დღე მოუსვენრობასა გრძობდნენ.

ვაი შენს დედას, შვილო, თბილი ქურქიც კი არ გაცვიოაო — და მწარეთ ამოიხრებდა. დაღამდა ჩვეულებრივით, ღუნიაშაც პირობისამებრ თბილ ოთახში და სუფთა ლოგინში უცხო მძღარ კაცს ეთვლინებოდა, დედაბერი კი უკანა ოთახში ტყავ-გადაფარებულ ტახტზე მიკრუნჩხულიყო. კირილკა ფეჩხე ასულიყო და ტკბილათ ხერხავდა. მოსუცის თვალებს ძილი არ ეკარებოდა, ისე შეიპყრო ფიქრთა ნაკადულმა, რომ ერთ ადგილზე ვეღარ ისვენებდა.

შემოდგომა მარჯვენა ხელი თავქვეშ და ბუხარში იდნავ მბჟუტავ ნაკვერცხლებს მისჩერებოდა. ჩაქრებოდა თუ არა ცეცხლი, საწყალი შეკრთებოდა და შეშინებული გიჟივით წამოვარდებოდა, მიუჯდებოდა ბუხარს და მწარეთ დაფიქრდებოდა.

შვილო ნიკანორ! რა გიყავი, რა. მე განა შენი ერთგული დედა ვარ? ნიკანორჩიკ, ჩემო კარგო ბიჭო, არ შეგცივდეს, თავს გაუფრთხილდი, შენს მეტი ვინ გამაჩნია? ამ ფიქრის დროს ჩაჰკიდა ძირს თავი და მთელი დღის ნაფუსფუსეგს ჩაეძინა. სძინავს ივანოვნას, მაგრამ ძილშიაც არ ასვენებს მას მწარე სინამდვილე. ის სიზმარშია. ხედავს, რომ გათენებულა, დღეს შაბათია, მაშასადამე ნიკანორიც დაბრუნდება სამუშაოდან. მთელი დღე იტანჯება დედა შვილის მოლოდინში. იცის რომ ქორიკანს კირილკას წყალობით სოფელში აქა-იქ გაუგიათ კიდევ ღუნიაშას უნებლიე გაქირვება. იცის, რომ დღეს თუ ხვალ ეს ამბავი შვილის ყურებამდინაც მიადწევს.

О горе мнѣ, горе. Не одобровать мнѣ грѣшной. რა პასუხი გაცევ შვილს? არა, მოვათუ არა, ყველაფერს აუუხსნი, ყველაფერს დაუყვავებთ დაფულავებ. ის მე შემობრალებს, ის ჩემი გულკეთილი ბიჭუნაა. ხედავს, რომ, რაც უფრო ახლოვდება ნიკანორის მოსვლის დრო, მით უფრო დედავდება, ეკარგება სულის სიმშვიდე, ეშინია რიდასიც, დადგა ის წამი, როცა მან პასუხი უნდა გასცეს სინიდისსაც და შვილსაც. ამ დროს ძალზე დაღლილ ტვინის უჯრედებსაც ძილი მოერიათ და ცოტა ხნით იმათაც ვანაბეს სული და შესწყდა მოხუცის სიზმარიც.

რამოდენიმე წუთის შემდეგ წამოიშალნენ მოუსვენარი უჯრედები და მძინარე მოხუციც შეაფორიაქეს. ის კიდევ სიზმარშია. ხედავს რომ ნიკანორი უკვე მოსულა, დაღლილ-დაქანცული ღარიბულ ვახშამს შეექცევა.

ღუნიაშა... იდ არის, დედილო?

დედა შეკრთა ამ კითხვაზე და ლაპარაკი ღრიცკოს ორნებზე გადაიტანა.

ნიკანორს სახე ეღრუბლება, პირში დაეჭვა საქმეს დედა იმის შიშით, რომ სახლსა და ეზოს სიძე წაართვებოდა.

გული გაიმაგრე, შვილო. ფული ვიშოვნე და გავუსწორდი კიდევ იმ ეშმაკს. ნიკანორი გაბრწყინებულის სახით მივარდება და ჩაეკონება დედას.

ჩემო ერთგულო დედა. რა კარგი რამ ხარ, მშობელო! მართლა, დედა, სად გამონახე ფული?

ივანოვნა თავს ვეღარ შეიმაგრებს სწრაფათ დაიჩოქებს შვილის წინ და ცრემლ-მორეული გაუძეღავნებს, რომ შენი ცოლი გავაქირავე ათ თუმანშიო.

ეს უთხრა თუ არა, თავზარდაცემულმა ყმაწვილმა კაცმა ისეთი მაგარი სილა სთხლიშა დედას სახეში, რომ ის ცხვირ-პირ დასისხლიანებული გაიშხლართა იატაკზე და შეურაცყოფილი შვილი, გაფითრებული, გაყინული გულით, საყვედურითა და სევდით სავსე თვალებით მისჩერებია ერთგულსა და მოლაღატე დედას და თავის ქნევით ეუბნება:

მაშ ასე დედა? ამას ეძახი შენ ერთგულებას? ნუთუ ისე შეგაშინა ამ სატილო ცხოვრებამ, რომ ამ სიბერის ხანს პატრონებასაც უღალატე? უბედურო, ჩემო თავო. ნეტავი ეს დათვის სამსახური არ გაგეწია და ბარემ მოგეკალი. რისა გეშინოდა, სანამ პირში სული მედგა, ჯანს გავიგდებინებდი და შიმშილით კი არ მოგკლავდით, ნუ თუ ეს არის საწყალი კაცის ბედი? ნუთუ ისე უბედურები ვართ, რომ თვით ჩვენი ცოლ-შვილის სხეულითაც გვავაქრებენ? ესა სთქვა თუ არა აუცილებელ გარემოებისაგან დაბეჩავებულ-დამონავებული უსულო საგანივით დაეცა დედას გვერდით, ჩაემხო ძირს და მწარეთ, ძლიერ მწარეთ აქვითინდა.

ამ საშიშარმა სიზმარმა გამოაღვიძა ნაშუაღამევს ბებერი დიასახლისი, წამოჯდა პირჯვარი გადაისხა: „ღმერთო, მისხენი, ღმერთო ნუ შემშლიო“. ადგა, შეყარა ბუხარში ორი მუქა თივა, გაჰკრა სპიჩკასა და ცეცხლი გააჩალა.

უბედური სულ თახთახმა აიტანა. ირგვლივ სიჩუმე, ირგვლივ საშინელი წყვილი, მოშხამული წარსული, უიმედო აწმყო და მომავალი აი რა დასტრიალებდა და დასჩხიოდა, ვით შავი ყორანი, საცოდავს. ამ სამარისებურ მყუდროებას არღვევდა მხოლოდ ბარიდან ყრუთ მოჩუხჩუხე მდინარე კამა და დრო გამოშვებით ამოვარდნილი ქარ-ბუქი.

— ვაი შენს დედას, შვილო! ამ სიცივეში ვინ იცის სადა გძინავს...

ამ ფიქრში რომ იყო, უეცრივ დაბერა ქარმა, რაღაც მკენესარეთ, მოხუცის ყურადღება რაღაც მოულოდნელმა ხმაურობამ მიიპყრო. ის არ მოსტყუვდა, ესლა ნათლათ გა-არჩია ქუჩაში გლეხების ლაპარაკი, მალე ეს ხმები მის სახლსაც მიუახლოვდნენ და მიწყდნენ კიდევ. ამ დროს წინა ოთახში მოისმა ღუბანოსოვის ეშხიანი ხმა:

ჩემო ძვირფასო, ჩემო დუსია, ჩემო ციპოჩკა, ციპუროჩკა, და გაცხარებული კოცნა...

ამ დროს გაიღო ალყაფის კარები და რაღაც ჩურჩულმა, ზუზუნმა სულ ერთიან გაარინდა საწყალი დედაბერი. შეშინებული წამოიქრა ზეზე, სწვდა ფეხებზე ფეჩხე მძინარე ასისთავს და მიაქან-მოაქანა.

კირილკა! ა, კირილკა!  
— ჰმმმ!.. დაიღმულია ასისთავმა...  
— ადე ჩქარა, ეზოში ვილაცები შემოვიდენ.  
კირილკა ზღაზვნით წამოდგა.  
ეჰ! ნეტავი ეგ ახირება არ გიყვარდეს, ბებერო. ვინ სულელი გაჩერდებოდა ამ დროს კარში ა? მოგეჩვენა ალბათ.



— ეი, ვინა ხართ სახლში, ადექით.  
მოისმა ეზოდან გაუბედავი ხრინწიანი ხმა...

— ბებერო, კარი უაგვიღე—დაიძახა მეორემ უფრო გაბედულათ.

ივანოვნამ მოიხურა ქურქი, კირილკამ კარები გააღო და ექვსმა გლეხმა ჩვენი ნიკანორის, ამ ოჯახის ბურჯის, უსულო გვაში შემოასვენეს. გზაში ვიპოვეთ გაყინულიო, წარმოსთქვეს მწუხარებით გლეხებმა და კედლისაკენ მიბრუნდნენ თვალ-ცრემლიანები, ამ სურათის დანახვაზე უბედურმა დედამ ერთი კი შეჰკივლა: ნიკანორჩიკ! ჩემო იმელო, შევილოვო, და ღონე-მიხდილი შევილის გვერდით დაეცა, დუნიაშაც წამოხტა, გამოვარდა ჩაუცმელი და თმა გაწეწილი, მარდათ გააღო კარები, ერთი იმანაც დაიწვილა და ცოცხალ-მკვდარი ქმრის ცხედარს ჩაეკრა გულში.

ტრ. რამიშვილი.

(დასასრული).

\*  
\* \*

მზე ციდან მკვირცხლის თვალეზით  
გადმოაჩერდა სამყაროს,  
სთქვა: „ხედავთ კაცობრიობას,  
ჩემს ნამოწყალევს არ კმარობს.

რა რომ აზრს უწყო თაყვანი  
და ღმერთად დასვა გონება,—  
მე ზურგი შემომამქცია:  
ალარ სურს ჩემი მონება!..

მე აღარაფერს მკითხავენ,  
შრომობენ ერთათ, ძმურათა  
და დახე! წვიმაც კი მოჰყავთ  
უჩემოთ, ხელოვნურათა.

დიდი და მომცრო აზროვნობს,  
ცხოვრობენ თავის ნებითა...  
ჩემგან გაგზავნილ სეტყვასაც  
კი სპობენ ზარბაზნებითა.

არა, ეს ასე არ მარგებს!  
აწ ვერ ვადვიტან ამ დღესო.  
უნდა გავრისხდე, რომ კაცი  
კვლავ თავის ქვრქში ჩადგესო!

სოფელს გავგვალავ, ცას დავწვავ,  
ხალხს სულ-გულს შევუწუხებო!  
თუ კვლავ თაყვანი არა მცეს,  
ქვას ქვაზე დავადუღებო“!

და შედგა ცაზედ... გარისხდა  
და თვისი სხივნი მწველები  
ძირს გადმოყარა, გავგალა,  
აწვა, აშუშა ველები.

მცენარეთ ძირი გაუხმო,  
შესვა მდინარე, ასვრიტა.  
წყრომით დახედა სალ კლდეებს  
და მწვანის თვალთ დახვრიტა.

გაფუქდა ქალა, ვენახი,  
დასწვა, დაუდნო ნაყოფი...  
განასოფლარდა სოფელი,  
გაუქმდა კაცთა სამყოფი.

გამოიფიტა, გამოშრა  
მიწა, ნათხევი ოფლისა;

თითქო ეს წამი, ეს მწვაფი,  
აღსასრულია სოფლისა.

შეწყდა ქალაქად ხმაური,  
დახშვეს მდიდრებმა კარები,  
კლდის ნაპრალ-სორო-ქვაბებში  
გადაიმაღლენ ჯარები.

არ ისმის არსად კაცთა ხმა,  
ალარ სჩანს არსად ცხოველი:  
პირ-მქუშ მზის სხივებს გამწყრალებს  
შორს მიმალვია ყოველი...

დასცქერს მზე ხმელეთს და ამბობს:  
დახეთ ქვეყანას საწყალსო!  
აბა ვინ არის ისეთი,  
რომ შეეტოქოს ჩემს ძალსო!

ამბობს და სხივებს ქვეშ გზავნის,  
რომ უფრო დასწვან ქვეყანა,  
სხივნი კი ხმელეთს მსჭვალავენ,  
აღმურს აჩენენ ყველგანა.

ამ დროს უეცრად მოესმისთ  
კვერის ხმა, თანაც ღიღინი  
და ამ სიურჩეს პირ-მქუშ მზეს  
ატყობინებენ ისინი.

მზე სწყრება, ჰყვირის: „ვინ მებრძვი?  
ვინ ურჩობ? ვინ ხარ? რომელი?“  
და ერთს წამს შემდეგ ამაყად  
ესმის ხმა:

— „მუშა! მშრომელი!“

ცახელი.

### ქუ რ ნ ა ლ - გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ .

„Русск. вѣд.“ ვკითხულობთ შემდეგს: ამ უკანასკნელ დროში მეცნიერების განსაკუთრებულ ყურადღებას მკვდრის გამოცოცხლების საკითხი იპყრობს. ამ საგანზე მუშაობს არა ერთი და ორი გამოჩენილი ექიმი ევროპისა. და მათი შრომა ამხრავს არც სრულიათ უნაყოფოთ რჩება...

ზოგიერთი გამოკვლევები მეტათ საყურადღებოა, აი მაგ. ექიმ კულნომ სცადა მუყაბადით გაჟღენთილი მარილწყალის შემწვობით მიცვალებულისთვის სიცოცხლის მობრუნება. მან ამისთვის გაუჭრა გული 20 საათის მიცვალებულს და შეაპკურა წამალი. გულმა ნელ-ნელა ცემა დაიწყო და მალე ნორმალურ მოძრაობაში მოვიდა. შემდეგ ექიმმა 30 საათის მიცვალებულზე გაიმეორა იგივე საშვალეობა. აქაც ისეთივე შედეგი მიიღო. ასეთი მოვლენა საქმის უცოდინართ პირდაპირ სასწაულათ მოეჩვენება, და ძნელი დასაჯერებელიც იქნებოდა, რომ ამას თვითონ მარე, გამოჩენილი ფიზიოლოგი, არ ამტკიცებდეს თავის მოხსენებაში.

ხირურგიც თავის მხრივ ცდილობს ამ საკითხის გადაჭრას და ზოგიერთი მისი ცდაც ყურადღების ღირსია. ექიმ რომმა სცადა მიცვალებულის გულის მობრუნება ჟღენთით. მან გაუჭრა მკერდი ახალ მიცვალებულს და გული მაგრათ გაუსრისა ხელით. გულმა ნელ-ნელა ცემა დაიწყო, მიცვალებულმა თვალები გამოახილა, წყნარათ ამოისუნთქა; შემდეგ ექიმმა ჭრილობა შეუხვია, მარა რამოდენიმე ხნის შემდეგ გულის ცემა ისევ შეწყდა. ექიმმა ისევ წინანდელი ზომა გაიმეორა და მეორეჯერაც

შედლო სიკაცხლის ნიშნები დაებრუნებია მიცვალებულისთვის, მესამეთ კი აღარაფერმა საშველებამ აღარ უშველა.

მარა მეცნიერება აქედან შორსა საბოლოო დასკვნა გამოიყვანოს და მკვდრების გაცოცხლება საყოველთაოთ შესაძლებელ საგნათ აღიაროს. ყოველ შემთხვევაში ეს ფაქტი დიდ იმედს იძლევა. მომავალში ამ კითხვის გადასაწყვეტათ.

### შავი-ქვის მრეწველთა მესუთე კრება ქუთაისში.

#### წერილი ბეჰქსე.

ჩვენ ჯერ არ შევხებოდით თვით კრებას, როგორც ერთ მთელს, არ გაგვიცნია მისი შემადგენელი ნაწილები, აქამდის ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიქცეული იყო ერთი მხრით საბჭოს მოღვაწეობის განხილვაზე და მეორე მხრით იმ მთავარ გარემოებათა დახასიათებაზე, რომლებმაც თავი იჩინეს თვით კრების დროს. აქ ყველაზე უფრო თვალში საძგერი ბ. ზდანოვიჩის მოქმედება და მისი საქციელი იყო, და ეს არ შეგვეძლო ჩვენ არ აღგვენიშნა. ვინც გარემოებას დაუკვირდება და საქმეს გაიცნობს, ის ამას ადვილათ მიხვდება. მხოლოდ გონებით უზადრუკთ და პირადი ანგარიშებით დაბრმავებულთ შეუძლიათ თქვან, რომ ჩვენ აქ მხედველობაში გვქონდა „დამხობა პირისა (ე. ი. ზდანოვიჩის), რომელიც სათავეში ჩაუდგა ახალ საქმეს“ (იხ. „ცნ. ფურც.“ № 2053). არა ვისთვის საიდუმლოება არ არის, რომ შავი-ქვის მრეწველთა კრების ერთ-ერთი «დაუმარცხებელი რაინდი» ამიერიდან ბ. ზდანოვიჩია. ამიტომ ყველა იმ ბრალდებაში, რომელიც ჩვენ მრეწველთა საბჭოს და კრების წინააღმდეგ წამოვაყენეთ, ბ. ზდანოვიჩს ვამტყუნებდით და ვამტყუნებთ დღესაც. ახირებული და სასაცილო იქმნებოდა, სპილოსთან რომ ომი გქონდეს და ბუზანკალებს ბრძოლა დაუწყო, და აი სწორეთ „ცნობის ფურცელი“ გვსაყვედურებს, რომ რათ ჩვენ თავი არ დავანებეთ სპილოს და არ შევებრძოდეთ ბუზანკლებს! შესაძლებელია, ბუზანკლებთან ბრძოლა ხელსაყრელი ყოფილიყო „ცნობის ფურცლის“ ხელმძღვანელთათვის, მაგრამ ამას არ მოითხოვს საზოგადო საქმის ინტერესი. ის ფაქტები, რომლებიც ჩვენ წინა წერილებში მოვიყვანეთ, აშკარათ გვიმტკიცებენ, რომ ბ. ზდანოვიჩის სისტემატიურმა მოქმედებამ სრულიად გამოუთხარა ძირი ქიათურის შავი-ქვის მრეწველთა თვით-მართველობას, რომ დღეს ეს ვაჟბატონი თვით-მართველობის სახელით იცავს აუღაგმავ თვითნებობას. ამიტომ ჩვენ ვეწინააღმდეგებით ბ. ზდანოვიჩს იმიტომ კი არა, რომ იგი ზდანოვიჩია და არა სხვა ვინმე, არამედ იმიტომ, რომ იგი, როგორც საზოგადო საქმის ხელმძღვანელი, უვარგისია. ვიმეორებთ, სანამ ფაქტებით და არა სიტყვებით, წინააღმდეგს არ დავგიმტკიცებენ, მანამ ზდანოვიჩზე აზრს ჩვენ არ გამოვიცვლით. ახლა კი გადავიდეთ კრებაზე.

ვისგან შედგება ქიათურის შავი-ქვის მრეწველთა კრება? იმას შეადგენენ ერთი მხრით მრეწველნი, ე. ი. მადნის გამოძლებნი, და მეორე მხრით მადნის გამტანნი საზღვარ-გარეთ და რუსეთში, ე. ი. ვგრეთ წოდებული ექსპორტერები. პირველები შეადგენენ დიდ უმრავლესობას, მეორენი უმცირესობას. მაშინ როცა მრეწველთა რიცხვი 300—400 ახწევს, ექსპორტერების რიცხვი ოცამდის ძლივს აღის. პირველები უმთავრესათ ქართველებია, ექსპორტერების დიდი უმრავლესობა კი უცხოელებისაგან შედგება. ამ ორ ჯგუფს შორის მუდამ უთანხმოებაა, მუდამ განხეთქილებაა, როგორც მყიდველთა და გამყიდველთა შორის. ჩვეულებრივ მრეწველს ქიათურაში შეუძლია მადანი ამოიღოს ტუნელიდან, მაგრამ

მადნის ბაზარზე გატანა მას არ შეუძლია, ვინაიდან ამისთვის საჭიროა თანხა, საჭიროა თაოსნობა, საჭიროა კრედიტი, და ქიათურის ჩვეულებრივ მრეწველს კი არც პირველი აქვს, არც მეორე და არც მესამე. ამიტომ იგი ექსპორტერის ჩვეულება, და მართალია, ამ უკანასკნელს იგი გარეგნობით კიდევაც ეაღვრება, მაგრამ ნამდვილათ კი მას ზიზლით უცქერის. ამას ჩვენ აშკარათ ვხედავთ კრებების დროს. კრებაზე ექსპორტერები ყოველთვის უმცირესობას შეადგენენ როგორც რიცხვით, ისე ხმებითაც, ასე რომ კრების ნამდვილი ბატონი მრეწველები არიან. ამიტომ ჩვენ აქ მხოლოდ მრეწველთა დახასიათებას შევეუდგებით. თანამედროვე მრეწველი დიდი ხნის კულტურული მუშაობის ნაყოფია; იგი ნიშნავს ადამიანს, შეიარაღებულს არა მარტო ფულით, არამედ თაოსნობით, მალულობით, კოდნით, რომელსაც წინ მიყავს თავის საქმე, რომელიც მუდამ აუმჯობესებს საქმის წარმოების წესს და რომელიც ამის გამო ხდება სწავლა-განათლების და საზოგადოთ კულტურის იარაღთ. სულ სხვაა ქიათურის შავი-ქვის ჩვეულებრივი მრეწველი, ამ მრეწველობის დიდი უმრავლესობა მაინც. უწინარეს ყოვლისა ქიათურელი მრეწველი ძლივს იბურებს თავს; მას არა თუ არა აქვს საკმარისი თანხა, არამედ მას არც გაბედულება აქვს და არც კოდნა; ამიტომ იგი უძლურია რაიმე გაუმჯობესებელი წესი შემოიღოს წარმოებაში. იგი შემთხვევით შეიქნა მრეწველი; მას ამისათვის არ დასჭირებია არც წარსული გამოცდილება, არც თანხა და არც სწავლა. ქიათურაში მადნის გამოღებას დიდი ანი და ბანი არ უნდა; ამისთვის არც ფულია საჭირო და თითქმის სამთო ხელობის კოდნა. ადვილათ გამდიდრების მსურველი ყოველგან და ყოველთვის მრავალი ყოფილა და არის. ამიტომ როცა შავ-ქვამ ბაზარი მოიპოვა, ქიათურას დიდძალი ხალხი მიაწყდა და რადგანაც მადნის გამოღება დიდს არიფერს შეადგენდა, უთვალავი მრეწველები გაჩნდნენ. ეს მრეწველები ერთ და იმავე დროს მრეწველის სახელსაც ატარებდნენ და მუშის როლსაც ასრულებდნენ. ცნობილია, რომ ასეთ პირობებში შრომის ფასი, ე. ი. მუშის ქირა, მეტათ მცირეა და თვით შრომაც ჩაყენებულა აუტანელ პირობებში. ასეთი პირობები ხელს უწყობენ წარმოების ძველებურ, პრიმიტიული, წესის არსებობას; აქ, არავითარ ტენიკურ გაუმჯობესებას ადგილი არ აქვს და ამიტომ ვერც სხელი წარმოება იკიდებს ფეხს. ასე მოხდა ქიათურის მრეწველობაში. აგერ 22 წელიწადია რაც ეს მრეწველობა არსებობს, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მას ფერი არ უტვლია. მართალია, წარმოება საოცრათ გადიდა, გაიზარდა, მაგრამ წარმოების პირობები ოდნავაც არ შეცვლილა; ვერც ერთმა სხელიმა ფირმამ იქ ფესი ვერ მოიკიდა, ვერ იხეირა. და მართლაც როგორ უნდა გაუწიო მეტოქეობა ისეთ მრეწველს, რომელიც წარმოებას ისე იწყებს, რომ თითქმის ფულს არაფერში არ ხარჯავს: მისთვის საკმარისია, თუ ორი-სამი მუშა იქირავა; იმათ თვითონ ამოუჯდება გვერდში და დღემუდამ მუშაობენ. ასეთ მრეწველს არ სჭირია არც მასალა, არც ძვირფასი იარაღები, არც მუშების ბინა, არც ბუზგალტერი, არც საქმის გამგე; მისთვის, ასე წარმოიდგინეთ, ზოგიერთ შემთხვევაში არც სამთო გამგეობის ნებართვაა საჭირო, რაც კანონით ყველა სათვის სავალდებულოა. აი ასეთი მრეწველი ბოგინობს ქიათურაში, აი ასეთ მრეწველთა ხელშია ქიათურის შავი-ქვის მრეწველობა.

ამის შესახებ ახლათ გამოცემული „статистика марганцеваго дѣла“\*) შემდეგ ცნობას გვაძლევს. ამის დაკვალათ, თუ რამდენ ფუთ მადანს იღებს წლის განმავლობაში მრე-

\*) იხ. „Стат. марган. дѣла“, изданіе 1902 г., გვ. 30—31.



წველები, ისინი დაყოფილია სამ კატეგორიით: წვრილი, შუა. თანა და სხვილი. პირველი კატეგორია იღებს წლის განმავლობაში 100,000 ფუტს, მეორე—100,000—500,000-დის, მესამე—500,000 ფუტს და მეტს. მრეწველთა საერთო რიცხვი იყო: 1895 წელს 78, 1899 წ.—291, 1900 წ.—400, 1901 წ.—177.

ამათში პირველი ორი კატეგორიის იყვენ:

წლები	წვრილი	შუათანა	სხვი	ანუ %/0	საერთო რიცხვის
1895	61	15	76	97,44	
1899	189	92	281	96,56	
1900	249	140	389	97,25	
1901	85	88	173	97,51	

საერთოთ ამ ორ კატეგორიის ამოღულია მადანი:

წლები	ფუტით	ანუ %/0	საერთო რიცხვის
1895	4,831,055	68,04	%
1899	25,250,513	74,05	—
1900	28,577,167	70,80	—
1901	18,086,535	78,93	—

იმავე დროს სხვილ მრეწველთა მდგომარეობა ქიათურას შავი ქვის მრეწველობაში ასე გამოიხატება:

წლები	მრეწველები		გამოღულია მადანი ფუტით	%/0 საერთო რიცხვთან
	რიცხვი	%/0 საერთო რიცხვთან		
1895	2	2,56	2.269,000	31,96
1899	10	3,44	8.801,919	25,95
1900	11	2,75	11.786,325	29,20
1901	4	2,49	4.818,000	21,07

ეს ცნობები ნათლად ამტკიცებენ ზევით ნათქვამს, სახელდობრ აი რას: 1) წვრილი და შუათანა მრეწველები შეადგენენ დიდ უმრავლესობას, ე. ი. თითქმის 98% საერთო რიცხვისას; 2) იმათ მიერ გამოღებული მადანის რაოდენობა შეადგენდა 1895 წელს 4,831,055 ფუტს, ანუ 68,04% საერთო რიცხვისას, 1901 წელს კი იგი უდრიდა 18,086,535 ფუტს, ანუ 78,93%; და 3) იმავე დროს კლებულობს შედარებით როგორც სხვილ-მრეწველთა რიცხვი, ისე რაოდენობა იმათ მიერ აღწერილი მადანისა. ამავე პროცესს ამოწმებს შემდეგი გარამოება: საშუალო რიცხვით თითო მრეწველი ამუშავებდა წლის განმავლობაში:

1895 წ. 34,45 მუშას, 1899 წ. 11,17 მუშას, 1900 წ. 9,25 მუშას, 1901 წ. 11,16 მუშას.\*\*)

ასეთი წესი მუშაობისა, როგორც ქიათურის მრეწველობაშია გაბატონებული წინ ეღობება ყოველგვარ ტექნიკურ წარმატებას, მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობას და ხელს უწყობს სინდიკატის უნაყოფო გაფლანგვას. მაგრამ იგი არა მარტო ამ მხრით არის მანებელი. იგი ხელ უშლის თვით მრეწველთა კლასის გათვითცნობიერებას, თავის რეალურ მოთხოვნილებათა და საჭიროებათა შეგნებას და ამისთვის შესაფერ ზომათა მიღებას. წვრილი მრეწველი მუდამ რყევაშია, მას არასოდეს არ აქვს თავის ნამდვილი ინტერესი შეგნებული და გათვალისწინებული, იგი მუდამ სხვის დახმარებას და ხელმძღვანელობას საჭიროებს, იმას არ შეუძლია, რომ სხვას არ მიეყვოდოს და სხვის ფეხის ხმას არ აყვას; ერთი სიტყვით იმას არ შეუძლია დამოუკიდებლათ მოქმედება და ამით აიხსნება ის სამარცხვინო გარემოება, რომ წვრილი მრეწველი მუდამ სხვისი მონა-შორჩილი ხდება, რომ იგი

სხვისი იარაღი გამოდის. ეს სავსებით დაგვიმტკიცა ქიათურის მრეწველთა მეხუთე კრებაზე, რომლის უმრავლესობა—წვრილი და შუათანა მრეწველი—წინააღმდეგეობას უწევდა თარ ინტერესებისა ბ. ზდანოვიჩის და მისი მხარეებისა. როგორც ზევით ვამბობდით, კრების ბატონი არიან მრეწველები, განსაკუთრებით წვრილი და შუათანა მრეწველები. მესამე კრების დროს მრეწველთა ეს ორი კატეგორია ბ. ზდანოვიჩის წინააღმდეგი იყო, ისინი საბჭოს ოპოზიციის შეადგენდნენ. ყველამ იცის, თუ რა გასაკუთრი ჩაგდო მაშინ ამ ოპოზიციამ ბ. ზდანოვიჩი: მან უარყო ბ. ზდანოვიჩის მიერ მოწონებული კანდიდატი კრების მდივნის თანამდებობაზე, აირჩია კომისიებში თავის კაცები, გამოუტყდა საბჭოს თავმჯდომარეს, ე. ი. ბ. ზდანოვიჩს, საყვედური ხმის უმეტესობით, მიადებინა კრებას მუშათა მდგომარეობის გასუმჯობესებლათ ითვლი რიგი სხვადასხვა ზომათა (თუმცა, ბ. ზდანოვიჩის წყალობით სრულიად ამოიშალა), და მხოლოდ ექსპორტერების ზრდას მიეწვრება, ამ ექსპორტერების, რომლებიც მესამე კრებაზე ბ. ზდანოვიჩის მხარეზე იყვნენ, რომ ბ. ზდანოვიჩი ისევ საბჭოს თავმჯდომარე იქნა არჩეული. ამ უკანასკნელ გარემოებას რადიკალურად უწინააღმდეგო მრეწველი კანდიდატის უკუღმობა. სანუხაროთ, მეხუთე კრება მოხდა სულ სხვა პირობებში: ის უზარადად, რომელიც მესამე კრებაზე ბ. ზდანოვიჩის წინააღმდეგი იყო, მეხუთე კრებაზე მას ორივე მხარეში ამოუდგა. ისინი კი, ვინც მესამე კრებაზე ბ. ზდანოვიჩის მხარე იყო, აღა მის შტურაგებულ მტრებათ გადაიქცნენ. რა მოხდა, რამ გამოიწვია ასეთი ცვლილება? ნუთუ 2 1/2 წლის განმავლობაში ბ. ზდანოვიჩი ისე გამოიცვალა, რომ იგი გახდა წვრილ მრეწველთა მომხრე და მათ სასარგებლოთ რადიკალურად გააგვარა, და ამავე დროს სხვილებს გადაუდგა? არც ერთი, არც მეორე: ბ. ზდანოვიჩი დარჩა ისეთი, როგორც იყო, მხოლოდ მან მეტი გამოცდილება შეიქმნა, რასაკვირველია, თავის სასარგებლოთ; როგორც წვრილი, ისე სხვილი მრეწველები მისთვის მხოლოდ გამოსადეგი იარაღია. სამაგიეროთ, წვრილმა მრეწველებმა მეხუთე კრებაზე დაკარგეს ის კოტაორდენი გამჭირაობაც კი, რომელიც იგინმა მესამე კრების დროს გამოიჩინეს.

მესამე კრებაზე ბ. ზდანოვიჩი დარწმუნდა იმაში, რომ წვრილი მრეწველები მისთვის დიდათ საშიშარ ელემენტს წარმოადგენდნენ, ისე საშიშარს, რომ თუ ვინცობაა შემდეგ კრებაზედაც ისინი მის წინააღმდეგ წავიდოდნენ, უეჭველათ თავმჯდომარის სავარძლიდან გადააბრძანებდნენ. ბ. ზდანოვიჩი დიდ საგონებელს მიეცა: როგორ უნდა მოვიმხრო ჩემსკენ წვრილი მრეწველები! ეს არც ასე ადვილი საქმე იყო. მიუხედავად იმისა, რომ წვრილი მრეწველი ადვილი დასაყოლიებელი და ადვილი მოსატყუებელია, ის იმავე დროს სწორეთ ამ გარემოების გამო ძნელი სანდოა. როგორც შენ შეგიძლია დაიყოლიო იგი, ისე სხვასაც შეუძლია თავისკენ მიიბზროს. ამიტომ საჭირო იყო ისეთი ღონისძიება, რომლის საშუალებით წვრილი მრეწველი ჩაეთრიათ, და არა ჩაეყოლიათ; საჭირო იყო ისეთი ღონისძიების გამოგონება, რომ მრეწველს კიდევ რომ ნდომოდა თავის დახწვევა, ეს ვეღარ უნდა მოეხერხებია. ასეთი საშუალება ბედმა არგუნა ბ. ზდანოვიჩს „შავი-ქვის“ ამხანაგობის სახით. ამ ამხანაგობის შედგენის აზრი პირველათ ბ. ზდანოვიჩს არ დაბადებია, მაგრამ მან შესანიშნავათ ისარგებლა ამ საშუალებით. „შავი-ქვის“ ამხანაგობა—ეს ისეთი კვანძია, რომლის გახსნა დღეს თვით ზდანოვიჩსაც გაუჭირდება \*\*\*). აშკარაა მხოლოდ ის, რომ ბ.

\*\*\*) აქლო მომავალში ხსენებულ ამხანაგობას ჩვენ ცალკე წერილს ვუძღვნით.

\*\*) იხ. „Стат. Мар. д“. 33-42.

ზდანოვიჩმა „შავი-ქვის“ ამხანაგობის მეოხებით მიხწია იმას, რაც მას სურდა: წვრილი მრეწველები თავისი სურვილის წინააღმდეგ გახდნენ მისი მონა-მორჩილები.

„შავი-ქვის“ ამხანაგობის მოწყობამ მოამზადა ამ დამორჩილების ნიადაგი. მაგრამ ეს კიდევ არ კმარა, სრული მორჩილებისათვის საჭირო იყო ამ ნიადაგის ხელ-ახალი გადაბარვა. როცა მეხუთე კრების მოწვევაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, მაშინვე გაჩნდნენ „დახელოვნებული“ პირნი, რომელთაც კარგათ ქონდათ შეტყობილი წვრილ მრეწველთა ხასიათი, მათი სუსტი მხარე; ამ პირებმა დაიწყეს შესაფერი მოქმედება, და ხალხს დაუბნინეს გონება. იმათ უკვე წინდაწინ ქონდათ წარმოდგენილი, რომ თუ ხალხი თავის ნებაზე დარჩება მიშვებული, ბ- ზდანოვიჩს უეჭველათ ჩამოაბრძანებდნენ თავის დღევანდელ ადგილიდან: ეს უწინარეს ყოვლისა ცუდი იქნებოდა ამ „დახელოვნებულ“ პირთათვის; და აი დაუწყეს ხალხს ქადაგება, რომ ბ. ზდანოვიჩი წვრილ მრეწველთა მხსნელია, რომ იგი მხოლოდ იმათთვის ზრუნავს; აი ამისთვის დაგიარსათ მან ამხანაგობა „შავი-ქვა“, რისთვისაც მას გადაემტერნ წვრილ მრეწველთა მართველები — ექსპორტერებიო. ამაში ცოტაოდენი სიმართლე იყო, სახელდობრ ის, რომ „შავი-ქვის“ გამო ბ. ზდანოვიჩს მართლა გადაემტერნ ექსპორტერები, სამაგიეროდ ამით მან იშოვნა უფრო მეტი თავისი კენჭი, და მისთვის კი მხოლოდ ეს იყო საჭირო. „დახელოვნებულმა“ პირებმა იცოდნენ, რომ ზდანოვიჩის გასაშავებლათ მეხუთე კრებისთვის გაცილებით უფრო მეტი საბუთი იყო, ვინემ მესამე კრების დროს, და ამიტომაც იყო საჭირო ენერგიული მოქმედება. კენჭის შოვნის საქმე დიდი ხანია მკვიდრ ნიადაგზე იყო დაყენებული, მას შემდეგ რაც „შავი-ქვის“ ამხანაგობა შედგა; საჭირო იყო მხოლოდ შესაფერი ახსნა და განმარტება, რისთვისაც სისტემატიურათ მუშაობდნენ. ამნაირათ შედგა ძველი საბჭოს და ბ. ზდანოვიჩის მომხრე პარტია მეხუთე კრებაზე, ანუ უფრო მართლათ რომ ეთქვათ, პარტია შედგა ჯერ კიდევ იმ დროს როცა კრების მოხდენა ჯერ კიდევ გამოცხადებული არ იყო. როგორც ბ-მა ზდანოვიჩმა, ისე „დახელოვნებულმა“ პირებმა კრების შედეგი იცოდნენ რამდენიმე თვის წინ კრების მოწვევამდის. მათ სისწორით დათვლილი ქონდათ თეთრი ქენჭები, რომლებიც უნდა ამოსვლოდა ბ. ზდანოვიჩს მომავალ კრებაზე, რომელიც ჯერ კიდევ მოწვეულიც არ იყო. ამნაირათ შედგა ბ. ზდანოვიჩის უმრავლესობა, რომელსაც იგი უნდა გაეთვტობებია არჩევნების დროს. ეს უმრავლესობა არ იყო თავის ნებით, თავისუფლათ მებრძოლი მოწინააღმდეგე პარტიასთან; იგი იყო ხელფეხ შეკრული დამონებული რაზმი, რომელსაც მხოლოდ იმის ამოძახება შეეძლო, რასაც ჩასძახოდნენ. ასეთნაირათ დამონებული ჯარი ყოველთვის როდი გამოდგება ბრძოლისთვის, მეტადრე იქ, სადაც სიტყვის და გონების საშუალებით იბრძვიან, და არა ფიზიკური ძალით. ამიტომ დამონებულ რაზმს მისცეს შესაფერი დარიგება: ბ. ზდანოვიჩის ყოველ სიტყვაზე ვაშას ძახილი და ტაშის დაკვრა; მისი ყოველი წინადადების მიღება; იმავე დროს მორჩილ „ჯარს“ მოწინააღმდეგე პარტიისთვის საშუალება არ მიეცა, რომ ელაპარაკათ: როცა საბჭოს და ბ. ზდანოვიჩის წინააღმდეგ დაიწყებდა ვინემ ლაპარაკს, ამ დროს მორჩილ რაზმს უნდა აეტეხა ყვირილი და ხმაურობა, რომ უმრავლესობას არ სურს მოისმინოს მისი სიტყვა, უმრავლესობა ეთანხმება ყველაფერში ბ. ზდანოვიჩსო.

ამნაირათ გამოცხადდა ეს უმრავლესობა კრებაზე; მან კრების გახსნის თანავე გამოიჩინა თავი, იგი პირველ სხდომაზედვე წამოდგა ჩვენ თვალწინ, როგორც ბრბო, რომელსაც დაუკარგავს საკუთარი მსჯელობა და ქკუა და სხვისი

იარაღი შექნია. გასაკვირალი ის არის, რომ ბ. ზდანოვიჩის რაზმმა კრების გახსნამდის იცოდა, რომ იგი უმრავლესობას შეადგენდა. ეს გარემოება ჩვენ არ უნდა დაგვწყინებდეს. აქედან ჩვენ ვტყობილობთ, თუ რა მხადება უნდა მოხდეს მომხრე პარტიას წინდაწინ შეგონეს, რომ ისინი უმრავლესობას შეადგენენ კრებაზე და რაც უნდათ, იმას გაიყვანებენო. საკვირელი იყო კრებაზე ამათი ქცევა: იმათ ეტირათ პარტიერის მარცხენა მხარე; როცა ვინემ იმათი ბელადთაგანი, როგორც ივ. ნიჟარაძე, სოლ. წერეთელი, კოტე ბაქრაძე, ან ჯ. იაშვილია, ადგებოდა, მთელ ამ რაზმს თითქო ელექტრონული ტოკი დაუარაო, ისე ყველანი ერთ დროს წამოვარდებოდნენ ზედ. ვგონებ, ასეთი სასტიკი დისციპლინა და მორჩილება ნამდვილი ჯარის სარდალს შემუროდებოდა! მაგრამ საუბედუროთ, როგორც ყოველთვის, ეს სასტიკი დისციპლინა და მორჩილება ყოველგვარ აზრის დაკარგვას, და გონების დაჩლოუნებებს მოასწავებდა; იგი ნიშნავდა ყურის მოყრუებას და თვალის დაბრმავებას. „სულ ერთია, თქვენ რაც უნდა თქვათ, ჩვენ იმას მაინც არ მივიღებთ, რადგანაც უმრავლესობას ჩვენ შევადგენთ; ამიტომ რაღაზე კარგავთ დროს, უმჯობესია გაჩერდეთ, მაინც ხომ არ მივიღებთო“, — აი რა იყო ბ. ზდანოვიჩის უმრავლესობის პაროლი. ამიტომ მიუდგომელი მაყურებელი, რომელმაც არ იცოდა კარგათ რაში იყო საქმე, გაოცებული რჩებოდა. ეს რა უსამართლობა, რა სასიზღრობა ხდება ჩემ თვალწინო. რა უნდა გაეკეთებია ასეთ პირობებში მომხდარ კრებას?

გარეშე მეთვალყურე.  
(შემდეგი იქნება).

**საშუკალდებო კითხვის უპუკალდებოთ დაბოვება.**  
(დასასრული. — ის. № 7).

მკითხველს ესხომება, რომ ბ-ნ ცერცვაძის მოხსენების განხილვის დროს ბ. კ. მოდებამ განაცხადა: ჩვენი ლაპარაკი მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებაზე ყოველთვის ყოფილა და არის მხოლოდ რეკლამა, ფანტაზია და თავის მოტყუებაო. ამავე სიტყვების გამეორება დაქირდა ბ. მოდებამ ხარჯთ აღრიცხვის განხილვის დროსაც. მისი წინასწარმეტყველება მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმე ხარჯთა აღრიცხვის განხილვის დროს მივიწყებულ იქნებოდა — თითქმის ერთიანათ გამართლდა, სანამ ლაპარაკი საბჭოს მოსამსახურე პირთათვის, კრების მდივნისა, „სიომშიკებისა“ და სხვა ამისთანებისათვის ფულის გადადებას შეეხებოდა, მანამ კრება დიდ გულუხვობას იჩენდა და ეკონომიას არაფრათ ეტანებოდა. სხვათა შორის, მაგ. კრებამ ხალისით მიიღო საბჭოს თავმჯდომარის შრომის შესამსუბუქებლათ საბჭოს კანტორის მმართველის ან მისი მოადგილისათვის 2.000 მან-ის ვალება. ეს ხარჯი კრებამ იპიტომ იკისრა, რომ საბჭოს კანტორის მმართველი აასრულებს საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას და ამ უკანასკნელს კი ამის მეოხებით შეეძლება მეტი დრო ზოანდომოს „შავი-ქვის“ სინდიკატის თავმჯდომარის მოვალეობის ასრულებასო. ამას თხოულობდა 200 წვრილ მწარმოებელთა — „შავი-ქვის“ წევრთა — ინტერესი. და ასე ყოველთვის, როცა წვრილ მწარმოებელთა ინტერესებისთვის სასარგებლო იყო ხარჯის გაწევა, კრებას ყოყმანი არ ჰქირდებოდა ხოლმე, ზორბათ გადაეღვა ფული. ასეთივე წვრილ მწარმოებელთა სარგებლობის მოსაზრებით იყო გამოწვეული ბლომათ ფულის გადადება. „სიომშიკების“ თანამდებობის და ქიმიურ ლაბორატორიის დასაარსებლათ, გზების გასაუმჯობესებლათ ღ სხ. . მაგრამ რამდენათაც კრება მწარმოებლების, ე. ი. თავის სასარგებლოთ გულუხვობდა, იმდენათვე მუშების საზარალოთ

ქონწობდა. პირველთ ხარჯთაღრიცხვაში რალაცნაირათ 20 ათასი მ-თი შეიტანეს მუშათათვის კაზარების ასაგებათ, მაგრამ, როცა ხარჯთაღრიცხვის განხილვა გაათავეს და დაინახეს, რომ გასავალმა მან ათასი მ. გადააქარბა შემოსავალს, არც აცივეს, არც აცხელეს და მაშინვე ამ 20 ათას მ-თს „ებღღენ“: აი ამ ფულს ჩამოვაგლიჯოთ ნახევარიო, ე. ი. 10 ათასი მანათიო და დეფიციტის თითქმის მესამედი უკვე დაფარული იქნებაო. ეს არ იკმარეს და დეფიციტის მეორე მესამედის დასაფარავათ საავათმყოფოსთვის გადადებულ ფულს ვცენ. ათათასი მანათი მისგანაც დააძვრეს. მესამე მესამედის დასაფარავათ, სხვა გზა რომ აღარ ქონდათ, ლაბორატორიისათვის გადადებული ფულიდან მიიმატეს. დეფიციტის ასეთ დაფარვას ოპოზიციის ორატორები, რასაკვირველია, წინააღმდეგენ და სხვათა შორის ბ. ნ. ჭიჭინაძემ განაცხადა: მართალია ლაბორატორია კულტურული და სასარგებლო დაწესებულებაა, და მე პრინციპიალურათ მის წინააღმდეგ ვერას ვიტყვი, მაგრამ ჯერ მათე უფრო აუცილებელი საქმეებანი უნდა დავაკმაყოფილოთ. მუშები თავლებსა და ბუნებებში ცხოვრობენ პირუტყვებით, და მეორეს მხრით არავის საავათმყოფოს უვარგისობაში ეჭვი არ შეუტანია, და მაშასადამე აუცილებლათ საქმეობა ამ ორ საგანს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ, ისინი დავაკმაყოფილოთ. თქვენ კი სწორეთ ამ საქმეების დასაკმაყოფილებლათ: გადადებულ ფულს, ისედაც მცირეს, კიდევ უფრო ამცირებთ. ამაზე ბ. მოსე-შვილმა, რომელმაც არა ერთხელ იჩინა თავი მშრომელი ხალხისადმი თავისი აშკარა და მოუკრიდებელი გულგრილობით, თითქმის წყრომით გამოაცხადა: რის მუშები! ლაბორატორია ჩვენთვის პირველი არსებითი კითხვაა, ე. ი. ჩვენს იქით ქვა ქვანდაც ნულა ყოფილაო. თვით «ქვიანმა, ერთგულმა და კეთილშობილმა დამცველმა პროლეტარებისა», თავადმა ი. ნიჟარაძემ, რომელმაც ისე ურცხვათ მიითვისა სხვისი მოხსენება მუშათა დაზღვევის შესახებ და რომელსაც მეორე თავადმა დ. ლეონიძემ კრებაზე კული რეპუტაციის „კნიაზი“ უწოდა საყოველთაოთ, —ჰო, ამ თავადმაც დიდათ მოუწონა მესამე თავად ბ. წულიკიძეს ის წინადადება, რომ ათას-ათასი მანათი ჩამოგლიჯათ მუშათათვის გადადებულ ფულიდან. როგორ შეხედეს ამ კითხვას სხვა ორატორებმა? რასაკვირველია, მხოლოდ ისე, როგორც მათი ინტერესი თხოულობდა, მაგ., ბ. ემერეკმა განაცხადა: ჩვენი ინტერესებისათვის აქაურ ლაბორატორიას არც ისე დიდი მნიშვნელობა ექნება, როგორც ზოგიერთებს გონიათ, საზღვარგარეთლები ჩვენ აქაურ ანალიზებს არ დემყარებინაო. ესეც არ იყოს, მისი დაარსება ქიათურელებისათვის „როსკოში“ იქნება და ამიტომ ამ «როსკოშის» დაკმაყოფილება დროებით შეიძლება შეჩერდესო. მას ოღონ კი ამ მხრივ თავისი გაეტანა, მუშათა ინტერესებსაც კი გამოესარჩლა და თქვა: ლაბორატორიის გულისათვის ნუ დავაგვიანებთ კაზარების და საავათმყოფოს აშენებასო, ჩვენ მოვალენი ვართ ჩვენი მუშებისთვისაც ვიზრუნოთ და ფულზე უფრო ავათმყოფი ხალხი უნდა გვენახებოდესო. რამდენათაც ემერეკს სხვილ ბურჟუაზიული მოსაზრება აღაპარაკებდა მუშათა სასარგებლოთ... რა აზრის იყო ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესახებ ხალხის სამსახურიდან ვაღამდგარი ბ. ზდანოვიჩი? ის ამ შემთხვევაში მჭევრმეტყველურათ ღუმდა პირში წყალჩაგუბებული და თავისი ღუმილით სავსებით ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ ოღონ ხარჯთაღრიცხვაში დეფიციტი კი დაიფაროს და მუშათა კაზარებიც და საავათმყოფოც წყალს წაუღია. მიზანი მიხწეულ იქნა, და კაზარებსაც და საავათმყოფოსაც ათას-ათასი მანათი დააძვრეს.

კაზარების აშენების გარდა, როგორც მკითხველს ესმოლება, კრებამ ბ. სერცვაძის მოხსენების განხილვის დროს,

დაადგინა: სასადილოების გამართვა მუშათათვის და განმანათლებელ დაწესებულებათა გაუმჯობესება. ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს ჩვენ იმედი გვქონდა, რომ მუშების აშენების საქმეს მარცხი მოუვიდოდა, სამაგიეროდ მუშების გასამართავათ მაინც შევლევოდენ საკმაო ფულს. მაგრამ იცით რა საქმე მოუვიდა სასადილოებს? ვაცილებით უფრო საჯაცი, ვინემ კაზარებს, კითხვა სასადილოების შესახებ ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, მარტო აღახმა უწყის! მაზე კრინტიც არავის დაუძრავს, თითქო არც კი არსებულოცო! რაც შეეხება განმანათლებელ დაწესებულებათ, მათ კი კრებამ მთლათ გვერდი ვერ აუხვია, მაგრამ მათზე ლაპარაკით მაინც თავი არ შეიწუხეს და იმათაც კი, ვინც მათზე ლაპარაკი დააპირა, „ДОВОЛЬНО, ДОВОЛЬНО“—ს დახილით პირში ბურთი ჩასჩარეს, თითქმის სრულიათ უკამათოთ გადადეს ამ საგნისთვის 6.000 მან., და მით ეს მეტი ზარგიც თავიდან მოიშორეს. კამათი გამოიწვია მხოლოდ საკვირაო შკოლისთვის ფულის გადადებამ. ამ საგანზე ცხარე ლაპარაკი ასტება თვით ბ. ზდანოვიჩმა და იცით რატომ? იქნებ იმიტომ, რომ მას ეცოტავა საკვირაო შკოლისათვის გადასადებათ განზრახული ფული? რა სათქმელია! მაშ, რაფრათ მოხდა, რომ ასეთ საგანზე, სახალხო საქმეზე, მან ენა ამოიდგა და ცხარე ლაპარაკიც კა ასტება? რატომ უღალატა მან ამ შემთხვევაში თვის მუდმივ ჩვეულებას—სიჩუმეს? იმიტომ, ჩემო მკითხველო, რომ ბ. კ. მოდებაძის წინადადებით სმეტაში საკვირაო შკოლის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ 2.000 მან. შეეტანათ და ამდენმა ფულმა ბ. ზდანოვიჩს თავბრუ დაახვია: ამოდენა ფული საკვირაო შკოლისთვის —ეს ხომ „საქმის“ დაღუპვააო, იფიქრა მან, და, გულმა რომ ვეღარ მოუთმინა, თავგანწირვით გაილაშქრა ბ. მოდებაძის წინადადების წინააღმდეგ. ქიათურაში საკვირაო შკოლის საძაგელი მდგომარეობა, როგორც ყველასათვის, ისე ბ. ზდანოვიჩისთვისაც დღესავით ცხადია და აი თავისი პროტესტით მან სწორეთ ეს სისაძაგლე ჯააკანონებინა კრებას, და რალაც გროშები გადაადებინა ამ საქმისათვის. აი რა დაუღალავათ, რა ერთგულათ ზრუნავს ბ. ზდანოვიჩი სახალხო განათლებასზე! ტყვილათ კი არ ამბობენ ზდანოვიჩი ქვიანი კაციოა. მას შევნივრათ ესმის თვისი ინტერესები და ისიც თუ რა მოუხდება ამ ინტერესებს; მან მშვენივრათ იცის, რომ თუ ის მუშათა ინტერესების დაცვას გამოუღდა, მაშინ თითონ მას მწარმოებლები გამოუდგებიან და სულ კუდით ქვას ასროლინებენ; მას შევნივრათ აქვს შეგნებული, რომ მისთვის სასარგებლოა ამოს თავის ამრჩეველ მწარმოებლებს, ხოლო მწარმოებელთა სამებლათ კი საქმეობა, რომ მან მოურიდებლათ ვადაქელოს მუშების ინტერესები. ამიტომაც როცა საქმე ამ ინტერესების დაკმაყოფილებაზე მიდგება, ის ან სრულიათ კრინტს არ ძრავს მათ შესახებ იმ მოსაზრებით, რომ მათი აშკარა წინააღმდეგობით საქვეყნოთ თავი არ მოეჭრას, ან და, როცა გული ვეღარ მოუთმენს, აშკარათაც გაიმხედრებს მათ წინააღმდეგ, რომ ამით თავისი სრული ერთგულება თვალცხადლივ დაუმტკიცოს მწარმოებლებს. აი რა ოინბაზი ბძანდება ბ. ზდანოვიჩი! ყველას, ვინც განგებ თვალებს არ იბრმავებს, ნათლათ შეუძლია დაინახოს, რომ დღევანდელი ზდანოვიჩი მოკეთე კი არა, ნამდვილი მტერია „ხალხის“ ინტერესების; ყველას, ვინც კი ხალხს რაიმე პატივსცემს და მის წინ სირცხვილი შეუძლია იგრძნოს, საქვეყნოთ დაგმობს და ხმამაღლა შეაჩვენებს ისეთ „მოღვაწეს“ როგორც ბ. ზდანოვიჩი. არ რცხვენია ხალხის წინ მხოლოდ „ცნობის ფურცელს“ და ეს ვითომდა ხალხის მოტრფიალე ვახეთი დაგმობის მაგიერათ გუნდრუკს უკმევს ასეთ აშკარა, ასეთ ხალხის ინტერესების ურცხვ მგმობელს. ამ გახეოს არ

რცხვენია არწმუნოს მკითხველი, რომ ზღანოვიჩი მუშათა ინტერესებს ემსახურება და ჩინებულათაც ემსახურება. მაგრამ, სასიხარულოთ, დღეს მკითხველი უფრო ფიზიკათ უცქერის საქმეს, ვინემ თვით „ცნ. ფურც.“, და არ უკვირს, რომ ის გაზეთი, რომელიც თვითონ მხოლოდ სიტყვით ემსახურება ხალხს, პატივს ცემს თავის მგზავს ინტელიგენტს

ს. ნემეზიდაშვილი.

**მეურნე და მეურნეობა.**

**VIII**

როგორც უკანასკნელ წერილში დავინახეთ, მეურნეთა დიდი უმრავლესობა, უმამულობით გაქირვებული, იძულებულია სხვის მამულს მიმართოს და რენტა იხადოს. რენტორები არიან მემამულენი და ხაზინა. იმ ძრავალ საქირვებათა შორის, რომელნიც მიწათმომქმედმა აუცილებლათ უნდა დააკმაყოფილოს, რენტას უჭირავს პირველი ადგილი. ის ნაშრომის დიდ ნაწილს აძლევს მიწათმფლობელს, მხოლოდ იმიტომ, რომ მან ნება მისცა მისი საკუთრება ააწეშაოს და ნაყოფი გამოაღებინოს, ე. ი. მუშამ მოიპოვა საშუალება მუშაობის და აი, ამისათვის თითონ უნდა მოიკლოს და სხვები არჩინოს. ასეთ მდგომარეობაში, რასაკვირველია, თვითესული მეურნე ცდილობს საკუთარი მიწა შეიძინოს და სხვისაგან დამოუკიდებელი გაქდეს. დამოუკიდებელი მეურნეობა—აი იდეალი სოფლელის და ეს არის იმავე დროს იდეალი მრავალი მოღვაწეების და საზოგადო დაწესებულებების. ესენი დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ რაკი მეურნემ საკმაო მიწა მოპოვა, ის რენტას აღარ იხდის და ამ მხრით სრულიათ თავისუფლდება.

მართალია ეს? დამოუკიდებელი მეურნე მართლა დამოუკიდებელია? ჯერ გავიგოთ რას ნიშნავს, საზოგადოთ, მიწის საკუთრებათ შექენა?

როგორც ვიცით მიწა მონოპოლიური ხასიათისაა, მისი შექენა და გამრავლება არ შეიძლება. ამავე დროს ის შეადგენს საკუთრებას მიწათმფლობელთა და მუქთათ არავის უთმობენ. ასეთ პირობებში მიწის შექენა შეიძლება მხოლოდ ყიდვით, ე. ი. ერთმა თავისი საკუთრება მეორეს უნდვ გადსცეს და სამაგიერო ღირებულება აიღოს. ასეთ ღირებულებათ დღეს ფული ითვლება. მაშასადამე, მყიდველმა ჯერ ფული უნდა შეიძინოს და მერე მამული. მაგ., ჩემს მეზობელს 50 მ. მივეცი და მან ამაში ერთი ქცევა მიწა მომცა. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს ორი შეუღარებელი საგნის შეღარებას—ოქროს და მიწისას. პირველს ფასი აქვს იმიტომ რომ მის მოპოვებაში ადამიანის შრომაა დახარჯული, ის შრომის ნაყოფია, ხოლო მეორე ბუნებრივი მოვლენაა, ის ადამიანს არ შეუქენია და მიუხედავათ ამისა—მასაც ფასი ეძლევა. აქ ვითომ ირდევება ძირითადი კანონი ეკონომიური მეცნიერებისა, სახელდობრ: წყარო ყოველივე ღირებულებისა შრომაა. ასეთი ყიდვა-გაყიდვა უდრის მონის გინდ კმის ყიდვა-გაყიდვას, აქაც შრომის ნაყოფი იცვლება არაშრომის ნაყოფზე. რით აიხსნება ეს? ცხადია, რით—თვით საზოგადოებრივი წყობილებით. ეს წყობილება იმნაირია, რომ შესაძლებლათ ხდის ადამიანის ადამიანისაგან დასაკუთრებას. ხოლო როცა წყობილება მოისპო—მაშინ მოისპო ეს დასაკუთრებაც. ასევე ითქმის მიწა-ადგილის შესახებაც. მას ფასი აქვს იმიტომ რომ იმნაირი საზოგადოებრივი წყობილებაა, სადაც მიწის კერძო საკუთრებათ შექენა შეიძლება, და სანამ ეს წყობილება იქნება, მანამდის მასაც ფასი ექნება. ცხადია, მიწის საქონლათ გადაქცევა ისტორიული მოვლენაა, საკუთრების განვითარების შედეგია და ამიტომ მისი აღებ-მიცემო-

ბა ემორჩილება განსაზღვრული ეპოქის საწარმოო კანონებს. დღეს კაპიტალისტური ეპოქაა და ამიტომ მიწაც, როგორც ყოველივე საქონელი, კაპიტალის სასწორზე გადასწავლილი უნებურათ ერთნაირი საზომით იზომება. მელთა შორის არავითარი საერთო თვისება არ არის. ეს, რასაკვირველია, წინააღმდეგობაა, მარა წინააღმდეგობა ისტორიული, მაშასადამე დროებითი და გარდამავალი.

ასე თუ ისე, მიწის ყიდვა-გაყიდვა აიხსნება საზოგადოებრივი წყობილებით და არა მისი შინაგანი ფიზიკური თვისებებით. მაგრამ მიწის ფასის რაოდენობის განსაზღვრვა კიდ დამოკიდებულია ამ უკანასკნელზე. მიწის ადგილი უფრო იაფია, ვინემ ნოყიერი. რატომ? იმიტომ, რომ პირველი იძლევა ნაკლებ შემოსავალს, ვინემ მეორე, რაც იწვევს განსხვავებას რენტის რაოდენობის შორის. მიწას ვყიდულობთ სწორეთ ამ რენტისათვის, ჩვენ აქ რენტა გვანტერესებს და, რომ მისი შექენა შეიძლებოდეს უმიწოთ—მაშინ ამას აღარავითარი ფასი არ ექნებოდა. მაშასადამე, ყიდვის მიზეზია არსებული ან მომავალი რენტა რამელი მამულიც მეტი რენტის მომცემია, ის მეტათაც ღირს. მიწის ყიდვა ნიშნავს რენტის ყიდვას. ხოლო რენტა კი, როგორც ვიცით, მიწის მონოპოლიიდან წარმოდგება. ის არის საკუთრების უფლება მიწაზე და როცა რენტას ვყიდულობ—ვყიდულობ ამ უფლებას და სხვას არაფერს. მემამულე ყიდის იმას, რაზედაც არაფერი დახარჯვია, რაც მუქთათ მიუღია; ის ყიდის ბუნების ძალას, რაც თავისთავთ არაფერი ღირს, მაგრამ ისტორიული მიზეზებით ეს ძალა რენტას იძლევა და რენტა კიდევ სიმდიდრეს და ფუფუნებას. როგორც ხედავთ, რენტა აქაც ისე ზრძანებლობს, როგორც იჯარაში, ხშირათ უფრო სასტიკათაც, რასაც ქვევით დავინახავთ.

რა კანონს ექვემდებარება მიწის ფასების მოძრაობა? რაკი ჩვენ რენტას ვყიდულობთ, ცხადია რენტის მოძრაობას მისდევს ფასების მოძრაობაც. და რადგანაც რენტა, როგორც ეს მექვესე და მეშვიდე წერილში გავარკვიეთ, თანდათან მატულობს—მატულობს მიწის ფასიც. მაგ., საფრანგეთში საშუალო რიცხვით ერთ ჰექტარ მიწას (უშენობია) მოქონდა წმინდა მოგება 1851 წ. 38 ფრანკი (38,04), 1879 წ. კი 52 ფრ. (52,87). ხოლო თითო ჰექტარის ფასმა იმავე წლებში აიწია 1282 ფრანკიდან 1830 ფრანკამდე\*). აქ მოქმედებს ორი მომენტი: ფულის ბაზარი და ნაყოფის მაზანდა. თუ ფული გაიფადა და სარგებელი შემცირდა, რენტა მატულობს, მატულობს მიწის ფასიც და პირქით ფულის გაძვირება ბადებს რენტის შემცირებას და მიწის გაიფადას. მეორე მხრით მაზანდის აწევა იწვევს რენტის და მიწის ფასის აწევას, ამასთანავე მაზანდის ერთ ღონეზე შეჩერებას ან და დაწევას შეუძლია გააძლიეროს რენტა და აქედან მიწის ფასიც, როცა მელიორაციით და შრომის განაყოფიერებით ერთი და იგივე სივრცე მიწა აქლა მეტ ნაყოფს იძლევა, ვინემ წინეთ. უფრო ხშირათ ორივე მომენტი ერთათ მოქმედებს და მის თანახმათ მოძრაობს მიწის ფასი. ჩვეულებრივათ მყიდველი ჯერ ტყობილობს, რამდენ რენტას იძლევა წლიურათ ის მიწა, რომლის ყიდვა მას განუზრახავს, შემდეგ აკვირდება ფულის ბაზარს და ამცნდავარათ ანგარიშობს. ეთქვათ მიწა იძლევა ას მანეთს რენტას, ფულის ჩვეულებრივი სარგებელია 5 პროცენტი; ამ შემოხვევაშა მიწა უნდა ფასობდეს იმდენათ, რამდენ თანხასაც 5 პროცენტის ანგარიშით შეუძლია წელიწადში ასი მანეთი შემოიტანოს, ეს თანხა ორი-ათასი მან. მაშასადამე მიწა ღირს ამ ფულათ. თუ ფულის პროცენტია 6, მაშინ მიწა ეღირება 1700 მანეთამდი

\*) „Handwörterbuch der Staatswissenschaften“, IV გვ. 172.

და ასე ბოლომდის. ასევე ანგარიშობს, რასაკვირველია, გამყიდველი და ამ საფუძველზე ხდება შეთანხმება. ამ წესით იყიდება რენტა, რასაც „რენტის გათანხმება“ ეწოდება, ე. ი. რენტა თანხათ არის გადაქცეული და ნაწილ-ნაწილათ იძლევა ფულის პროცენტს. ცხადია, რენტა თანხას კი არ წარმოუშვია, პირიქით, რენტამ წარმოუშვა თანხა; ჯერ არსებობდა რენტა და შემდეგ მან მიიზიდა თანხა. ეს იგივეა რაც ნ-პროცენტთან აქციების ყიდვა ორიათასი მანეთის ანდა ორიათასი მანეთის გასესხება ნ პროცენტით \*\*). ფულის პატრონი ფულს აბინავებს არა მრეწველობა-აღებ-მიცემობაში, არამედ მეურნეობაში; მისთვის სულ ერთია ნაყიდ მიწის თვითონ შეამუშავებს თუ იჯარით გასცემს, მას სურს თავისი არ დაკარგოს, ნ პროცენტი თავთავის დროზე მიიღოს. ხოლო თუ საქმე კარგათ წავიდა, ფულს სარკებელი დაწია, მაზანდა აიწია და სხვა ასეთი სამრეწველო ცვლილება მოხდა, მაშინ ის ხელ პროცენტზე მეტსაც მიიღებს, ისე როგორც ეს აქციების სფეროში ხდება ხოლმე. სამაგიეროთ, შეიძლება წინააღმდეგობ მოხდეს, სამეურნეო კრიზისი დროებით მაინც ამცირებს რენტას და მიწის ფასებს და მაშინ ბევრი კოტრდება.

ერთი სიტყვით, კაპიტალისტური მეურნეობა ანგარიშობის წარმოებაა. აქ ყოველივე წვლალა წინდაწინ არის გამოთვლილი და გათვალისწინებული. როცა მეურნეობა ხეირს არ აძლევს, მაშინვე გამოდის ამ დადგადან და გადადის წარმოების სხვა უფრო სახერო დარგებში.

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენ მაგალითს — ორი ათასი მანეთის მიწის ყიდვას. რა დამოკიდებულება აქვს ამ თანხას ანავე მიწის საწარმოვო თანხასთან? სრულიად არაფერი. ყიდვაში გამოღებულ ფული წარმოებისათვის დაკარგული ფულია, ამით მხოლოდ ნაყიდა უფლება რენტას მიღებაზე; ახლა საჭიროა ეს უფლება განაღდდეს, მიწა ამუშავდეს და რენტით თავისი მიიღოს. აქ ორი მომენტი — მიწის შემუშავება და რენტა — ერთმანერთისაგან დაცილებულია; პირველს ეწოდება მეურნეობა, სამეურნეო წარმოება და, როგორც ყოველ წარმოებას, შესაფერო თანხა ექირება; რაოდენობა ამ თანხას არ მატულობს იმ გარემოებით, რომ მიწა ნაყიდა. ერთნაირი მუშაობა უნდა ნაყიდსაც და მუქთად მიღებულსაც. ხოლო რენტა საზოგადოებრივი მოკლენაა, მიწის კერძო საკუთრების იურიდიული გამოხატულებაა. მას კავშირი არა აქვს თვით წარმოებასთან. წარმოება მუდმივი, აუცილებელი საჭიროებაა, ის იყო მიწის საზოგადო საკუთრების დროს და იქმნება შემდეგშიაც, როცა დღევანდელი ფორმა საკუთრებისა შეიცვლება, მხოლოდ რენტა კი არც მაშინ ყოფილა რე არც მერმე იქნება. ორიათას მანეთის ნაყიდ მიწაში შეგიძლია ოთხიათასი მანეთი სხვა დააბანდო და ამ გზით ის აამუშაო. ამ პროცესში ორიათასი მანათი არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს, ის არაფრით არ ეხმარება; პირიქით, ის დიდათ უშლის ხელს, რადგან ამ ოთხიათას მანათმა მისი პროცენტებიც უნდა იხადოს და ამით თავისი რაოდენობა დააბატაროს. მეურნეობისათვის სულ ერთია, ის რენტას გაისტუმრებს თუ გათანხმებულ რენტას, ორივე ერთნაირი ტვირთია, ორივე ავიწროვებს წარმოებას. ესტქვით სამიათასი მანათი მაქვს და მინდა ეს ფული მეურნეობაში დავაბანდო, მიწა კი არა მაქვს. აქ უნდა ვქნა ორში ერთი: ან სხვისი მიწა ავიღო იჯარით და რენტა ვაძლიო ან და მიწა ვიყიდო. პირველ შემთხვე-

ვაში რენტას ნელ-ნელა ვიხდიდი, მეორე შემთხვევაში რენტა ერთად გადავხადე, ორიათასი მან. უცებ მივეცი და შევიძინე გათანხმებული რენტა. ეს ფული უნდა მიღებულა მიწის ნაწილ-ნაწილათ და რენტის განმავლობაში უნდა მიწის ყიდვამ ხელათ მომაკლო თანხას ორი მესამედი, საწარმოვოთ დამრჩა მხოლოდ ათასი მანათი და თუ ეს საკმარისი არ არის, მაშინ ისევ იჯარით უნდა გავსცე და რენტა სხვისაგან ავიღო. მაშასადამე, მიწის ყიდვაში ჩადებულ ფული არა თუ დაკარგულია მეურნეობისათვის, არამედ ის ამცირებს საწარმოვო თანხას და მით აბრკოლებს თვით მეურნეობის განვითარებას. გათანხმებული რენტა კიდევ უფრო მეტი ტვირთია, ვინემ რენტა. ეგ სულ ერთია მხოლოდ ნაყიდი მიწის იჯარადარისათვის, მაგრამ თუ მყიდველი თვითონ აწარმოებს, შეძენილი მიწა მძიმე უღლათ აწევება. გავემინჯოთ ეს უკანასკნელი შემთხვევა უფრო დავწვრილებით.

როგორც ვთქვით, მიწის მყიდველს შეიძლება ორნაირი მიზანი ჰქონდეს: ან ფულს ბინა გაუჩინოს, ნაყიდი მიწა იჯარით გასცეს და გათანხმებული რენტას პროცენტები იღოს, ან და თვით შეამუშაოს და აქედან როგორც რენტა, ისე მოგება თვითონ დაინარჩუნოს. პირველ შემთხვევაში, იჯარადარი იხდის რენტას და მისთვის სულ ერთია — რენტას უფლება ნაყიდა თუ მუქთათ მიღებული. აქ მიწის ყიდვაში გამოღებულ ფულს გავლენა არ აქვს საწარმოვო ფულზე, ვინაიდან ისინი სხვადასხვა პირს ეკუთვნიან. სულ სხვაა მაშინ, როცა მყიდველი თვით აწარმოებს მეურნეობას. აქ მეურნე ყიდულობს მიწას და ფიქრობს თვითონვე შეამუშაოს. ცხადია, მიწის ყიდვით ის უექველათ ამცირებს საწარმოვო თანხას, მაგრამ იმით იმედოვნებს, რომ 20—30 წლის მერე გათანხმებული რენტა გადახდილი იქნება და მიწა მუქთათ დამრჩება. მაგრამ ამ მის იმედს არღვევს შექმნილი გარემოება: მეურნეს თვითონ ფული არ აქვს, ის უნდა გამოართვას იმას, ვისაც აქვს: მრეწველთ, ვაჭართ, ბანკებს და სხ, ჩვეულებრივთ ასეთა მეურნე ბანკისაგან სესხულობს. მაშასადამე მან უნდა იხადოს შესაფერი პროცენტი და აი რენტა გადადის არა მის ჯიბეში, არამედ ბანკირებისაში. ცხადია, ის ნამდვილი რენტითორი აღარ არის; ის ისე იხდის რენტას, როგორც იჯარადარი. და ეს ასეც უნდა იყოს. მან მამული შეიძინა ბანკის ფულით, რენტა გაათანხმა სხვისი თანხით და ის, რასაკვირველია, ამ თანხის პატრონს უნდა ეკუთვნოდეს. გამოდის, რომ ეს ახალი მესაკუთრე — სახელათ არის მესაკუთრე, ნამდვილათ კი იჯარადარი, ხოლო ნამდვილი მესაკუთრე კი ბანკია (ე. ი. კაპიტალისტები). აი აქედან წარმოადგება მისი ვაჭირვება. ის ვალიანდება და პირველ შემთხვევისათანავე მამული ხელიდან უვარდება. მამული ფებს იღვამს და სანდო პატრონს ეძებს, ამ ძებნაშია მუდამ და ვერ პოულობს. ამის მიზეზია მისი ფების ადგმა, მისი ერთხელ დავალიანება. რაკი მამული ფულის ბრქვალეში ვარდება, იქიდან ის ვეღარ ახწევს თავს, პირიქით, უფრო-და-უფრო ეტანება ფულს და ასე კაპიტალისტთა ბადეში სამუდამოთ ეხვევა. ამის დასამტკიცებლათ საკმარისია დავალიანების სტატისტიკის მოყვანა: პრუსიის სოფლის მამულებს დავალიანება შედარებით ვალის გადახდასთან მატულობს შემდეგ ნაირათ: 1886—87 წწ. აღებული ვალი მეტა გადახდილზე 133 მილიონი მარკით, 1887—88 წწ. 88 მილიონით, 1888—88 წ. 121 მილიონით, 1889—90 წ. 179 მილიონით, 1890—91 წ. 156 მილ., 1891—92 წ. 207 მილ., 1892—93 წ. 209 მილ., 1893—94 წ. 228 მილ., ხოლო 1894—95 წ. 255 მილ., ე. ი. 15 წლის განმავლობაში ვალმა მოიმატა ერთ-ნახევარი მი-

\*\* ჩვენ აქ, მიწის სპეკულაცია და მიწის მონაპოლიური ფასი (ე. ი. ფასი ისეთი მიწის, რომლის მზავის სხვა კუთხეებში არ არის, მაგ., სავანაზე და სხ.) სახეში არ გვაქვს. აქ ფული არა ჩვეულებრივთ მოიგება ხოლმე.

ლიარ დით\*). საფრანგეთის სოფლის მიწა-ადგილებს აწევს 14 მილიარდი 369 მილიონი ფრანკი (14,369,096,324). ასე იყო 1876 წ. შემდეგი წლის ციფრები არ არის. ავსტრიაში 1889 წ. ვალი იყო 3 მილიარდი ექვსასი მილიონი გულდენი. ამასთანავე აღებული ვალი გადახდალს დიდათ აღება უკველ წელს. მაგ., 1881 წ. ის შეიცავდა 10 მილიონზე მეტს, 1885 წ. 5 მილიონზე მეტს, 1888 წ. 7 მილიონს და სხვ. ასეა ყველა კულტურულ ქვეყნებში\*).

თუ ამ ოფიციალურ ვალებს მივუმატებთ არაოფიციალურსაც, კერძო პირებისაგან აღებულს, მაშინ დავინახავთ, რომ თითქმის მთელ მიწა-ადგილს დაპატრონებიან კაპიტალისტები და ნამდვილი მესაკუთრენი იხიან გამხდარან. მეურნე თავს იტყუილებს—შეკენილ მიწიდან რენტას მე თვითონ ვიღებო, ხოლო ვალში მიცემულს მოგებიდან ანგარიშობს. ნამდვილათ კი უკუღმავ: მან ნასესხა ფულით იყიდა რენტა, მარა რადგანაც ამ ყიდვას ფულის ბაზარი საზღვრავს, აშკარაა პროცენტი ნასესხი ფულის და პროცენტი გათანხვებული რენტისა დახლოვებით ერთნაირია. განსხვავება იმაშია, რომ მან ერთათ მიიღო ფული ბანკისაგან და ნაწილ-ნაწილათ იხდის; მაგრამ ეს ერთათ აღებული ფული თავისთვის არ დაუტოვებია—ის ერთათვე გადასცა გამყიდველს. მაშასადამე ისიც ნაწილ ნაწილათ იბრუნებს რენტის სახით და აძლევს მოვალეს სარგებლის სახით. აქ ის, როგორც რენტორი, შუამავალია მიწის და კაპიტალისტს შორის და მეტი არაფერი. ეს არის, ჩვენებურათ რომ ვთქვათ, თხა ვიყიდე, თხა გავყიდე, სარგებელი ვერა ვნახე. მისი მოსავლები უნდა წარმოიშვას წარმოებიდან, საწარმოვო თანხიდან, და აი ის ვალი, რომელიც ამ მიზნით არის აღებული, ჩათვლება მეურნეობას განმავითარებლათ. მაგრამ ამ ვალს ვერ გაუძლებს ის, რომელიც მიწაც ვალით შეიძინა. ეს ორნაირი ვალი აღებატება მეურნის ძალ-ღონეს.

მეურნის მეორე თავის მოტყუილება იმაშია, რომ ის ფიქრობს ნაწარმოებს ძვირათ გავყიდი და მიწის ნაყიდობის ფულს ჩქარა ავიზღავო. მას გონია ხარჯთან ერთათ შემოსავალიც ვამიძლიერდებაო. მაგრამ ეს ასე არ არის, მიწის შეძენაში გაცემული ფული მართალია ხარჯია, მარა ფუქი ხარჯი, ის სრულიათ არ შედის ნაწარმოების დამუშავების ხარჯებში, ე. ი. ხარჯი არის და არც არის—არის მეურნისათვის, არ არის მეურნეობისათვის. მას თავისი ნაწარმოები, რასაკვირველია, მეტათ უღირს, ვინემ იმას, რომელსაც მიწის ფასი არ გადაუხდია. მარა ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ის ნამდვილათაც მეტათ ღირს. მე რომ ფუთი სიმინდისმოკვანა მანეთათ დავიჯინო, ხოლო სხვებმა კი ორ აბაზათ, ფასები ორი აბაზის კვლობაზე იმოძრავებენ და არა მანეთის. ჩემი შეცდომა კი მე უნდა ვიზარალო. მიწის ფასი—ეს რენტის ფასია, ხოლო რენტა არა თუ რამეს ქმნის, არამედ შექმნილიც მიაქვს. ის საკუთრების მონოპოლიიდან წარმოდგება და მონოპოლია ხომ იურიდიული მოვლენაა და არა ეკონომიური. ღირებულებას ქმნის შრომა და არა უფლება. მიწის მყიდველი ამ უფლების მოსაპოვებლათ იხდის შრომის ნაყოფს, შრომა იცვლება უშრომლობაზე და, რასაკვირველია, ეს საზარალოა, მარა აუცილებელი კი. და აი, მეურნის და მეურნეობის მთელი ტრაგიზმი ამ აუცილებლობაში მდგომარეობს, ის იძულებულია ისეთი ხარჯი გასწიოს, რომელსაც არავითარი გველენა არ აქვს შრომაზე და მის ნაყოფზე, ე. ი. გასავალში პლიუსია, შემოსავალში კი მინუსი. ეს საშინელი წინააღმდეგობა ისტორიულია, მიწის მონოპოლიით გამოწვეული და

\*) ციფრები ამოღებულია „Handwörterbuch der staatswissenschaften“-დან—ტომი 4, გვ. 513 და შემდ.

სანამ ეს მონოპოლია იქნება, მანამდის ისიც დარჩება. ამგვარათ მიწის ყიდვა-გაყიდვა მდგომარეობს შედეგში: მიწის ფასი ნიშნავს რენტის ფასს, რენტა კი—უფლობას კერძო საკუთრებაზე. რენტის ყიდვა კიდევ აღ ნიშნავს რენტის მიღებას, ეს არის მომავალი რენტა, მის აწმყოთ გადასატყვევათ საქირაა მიწის ამუშავება; ამ ამუშავებაში მიწის ფასი არავითარ როლს არ თამაშობს; ის საწარმოვო თანხაში არ შედის. თუ მყიდველი თვითონ აწარმოებს, მაშინ მიწის ფასი, აკლდება საწარმოვო თანხას და ამ გზით ის აბრკოლებს მეურნეობის განვითარებას. ის არის მეურნის ხარჯი, მარა ეს ხარჯი მეურნეობით არ იფარება, ის პატრონის მუდმივი დეფიციტია; ეს შენახული ფულია, გასესხებული თანხაა და მეტი არაფერი. ცხადია, მიწის ვაჭრობა არავითარ სხვა ვაჭრობას არ წააგავს და ეს იმიტომ, რომ ის მონოპოლიაა და, მაშასადამე, მასი აღებ-მიცემობა მონოპოლიის აღებ-მიცემობაა.

ასეთია მიწის ვაჭრობის კანონები; ამ კანონებს მისდევს შეგნებული და ანგარიშიანი მიწის ვაჭარი. როგორ მოქმედებს აქ წვრილი, შეუგნებელი მეურნე? რას ნიშნავს უმამულო გლეხის მამულიანათ გახდომა?  
გ. მარშალაძე.

**ანგარიში 1902 წლ. იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სახელობაზე დაარსებულ ბიბლიოთეკისა.**

1901 წლიდან 1902 წ. შირველ ანგარისათვის დარჩა ხადდი 876 მ. 66 კ. 1902 წ. შემოკიდა: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან 100 მ., კონცერტისაგან 445 მ., წიგნების საზოგადოებისაგან 70 მ. 40 კ., კნ. ნ. კ. ნაყარამისაგან 28 მ. ა. ი. დუმბაძისაგან 10 მ., ბ. კაწმარაშვილისაგან 3 მ., ა. ი. ფაშინგისაგან 5 მ., სტ. ა. ღორთქიფანიძის მიერ შეკრებილი ფული ბაქში 110 მ., კნ. ა. აბაშიძის და ბ. შარვაშვილის მიერ შეკრებილი ფული ბაქსანში 40 მ., სურთიერთო საზოგადოების ბანკში შეკრებილი დივიდენდა 74 მ. 3 კ., „გამათფანის“ გაყიდვისაგან 140 მ., ექამი დ. ნაზარეთის მიერ შეკრებილი ფული საადგილ-მამულა ბანკში 46 მ. სარგებელა 35 მან. 1902 წ. 1903 წ. შირველ ანგარამდი შემოკიდა 1106 მ. 45 კ., 1901 წლ. 1902 წ. 1 ინგარამდი დარჩენილ ფულასათ 1983 მ. 9 კან.

1902 წ. დახარჯა: სახლას ქირა 300 მ., ბიბლიოთეკის გამკეს 180 მ., დახარჯა განათების და გათბობისათვის 56 მან. 90 კ., წიგნების შექენა და ყურნადაცხეთების გამოწერა 181 მ. წლის ანგარამის დაბეჭდვა 8 მ., ინვენტარი და წვრილმხი ხარჯი 120 მ., ყარაულს ჯამგირი 120 მ., წიგნების ამინძველას 56 მ. 94 კ., თფილისში და ბაქში წასვლა ბიბლიოთეკის საქმეების კამო 50 მ. 1902 წ. დახარჯა სულ 1072 მ. 84 კ., 1902 წ. 1903 წ. შირველ ანგარამდი დარჩა ხადდი 910 მ. 25 კ.

ბიბლიოთეკას მისდის შემდეგი რუსულ-ქართული ყურნაღვანეთები: „შირ ბოკა“, „ნია“, „ხარადნოე ბლაგო“, „ყურნაღვანა ვსეს“, „შეტერბურგსკია ვვადმოსტი“, „იუქნი ჩიტატელ“, „ნოვოე ობოზრენიე“, „თბილისის ლისტოკი“, „მოამბე“, „ჯუჯილი“, „ივერია“, „კვალე“, „ცნობის ფურცელი“, „მწეემსი“, „მოგზაური“, „არგანავტი“. ამასში უფასოა: „ნოვოე ობოზრენიე“, „მწეემსი“, „ნასტირ“, „თბილისის ლისტოკი“, „არგანავტი“, ხსენვარ ფასათ: „კვალე“, „მოამბე“ და „ცნობის ფურცელი“.

1902 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკას შეემატა 213 ქართული და 448 რუსული წიგნი. სულ შედგა 1800 ქართული და 2303 რუსული წიგნი. ბიბლიოთეკას ყავდა წლის განმავლობაში

\*) რენტა ძლიერდება მაშინ როცა „ყალბი სოციალური ღირებულება“ მატულობს და გადადის რენტორის ჯიბეში.

639 თვიური შკითხველი, რომელთაც გაიტანეს წასაკითხთ 10,054 წიგნი. დღიურ შკითხველთა რიცხვი წლას განმავლობაში იყო 16, 350.

შკითხველ საზოგადოებას შეადგენენ: გლეხები, მოქალაქენი, თავად-ახსნურნი, სასულიერო წოდების მონანი; შრომების მიხედვით: მოხელე, მუშა, ვაჭარი და მოწაფე. წიგნები გააქვით ისტორიული, ბელეტრისტიული და საბავშვო.

ამასთან მადლობას ვუხდებთ ყველამ ვერხვალ-გასეთების გამომცემლებს, რომლებმაც უფასოთ, ან ფასდაკლებით დაუმიეს ბიბლიოთეკას თავიანთი გამოცემები. აგრეთვე უდრძეს მადლობას ვუხდებთ ყველამ ვინც, ვინც ფულით, წიგნებით ან შირადი შრომით დახმარება აღმოუჩინა ბიბლიოთეკას. იმედი მაქვს ამ წელსაც ხალხის გულ-შემატყვიარნი ხელს შემაწყოფენ იმას სამსახურში...

ბიბლიოთეკის გამგე ელენე კ. ჯინოვიცა.

წერილები რედაქციის მიმართ.

პასუხით ბ-ნი აჯიამუღოვს. \*)

„ჩემი შენ გითხარი გული მოვიკალიო“.  
(ხალხ. ანდაზა)

«ივერიის» მე-270 №-ში დაისტამბა ბ-ნი აჯიამუღოვის წერილი ჩვენ შესახებ. აკტორს ეს წერილი მუსლებათ დაუკვირა და წინ ასეთი ანდაზა წაუშმღვარებია: სინდილისც კია საქალაქიო. აბა ამასეთ იტყვიან სწორედ ქართველები: «ჩემი შენ გითხარი და გული მოვიკალიო». ბ-ნი აჯიამუღოვი უბარუქვს ყოფილას ბრძანებს, რომ ვითომ ჩვენ გაზაფხულიდან დაწყებული «ჭორებს ვაგრცლებდით მასზე, როგორც ბიბლიოთეკის გამგეზე და ცილსა ვსწამებდით». თუ რამდენათ სიმართლეს მოკლებულია ეს სიტყვები, ვსთხოვ იმ შირთ, რომელთაც ჩვენ შორის ატყენილა გამათი ანტერესებთ, გადათავალებონ „ივერიის“ 99 და 143 №-ში და აქიდან დაინახვენ, რომ ჩვენ ბ-ნი აჯიამუღოვის ცილს კი არ ვსწამებდით, შირაქით ცილისწამებდით ვითარადღოთ. შემდეგში კი როდესაც სოციალურ შირთაგან გამოვარდებულმა აჯიამუღოვმა, დაგმობა საზოგადო საქმე და თავის ქცევით ბიბლიოთეკას სამარეს უთხრია და, მასზე კი იმულებული შევიქენით მის წინააღმდეგ წერილი დაგვეწერა.

აი, რაში იხატება აჯიამუღოვისაგან ბიბლიოთეკის ინტერესების დაკმობა. როდესაც ბ-ნი აჯიამუღოვი და მისმა ამხანაგმა თავი გაანებეს თელავის სამკითხველს გამგეობას, ამხანაგობის საზოგადო კრებაში ამოიჩინა ორი კაცი, მა—შვილი და ს—ძე, რომლებიც თანდასწრებით უნდა ჩაებარებინათ ჩვენთვის ბიბლიოთეკას და თანაც ოქმი შეგვედგინა. ამას შემდეგ ხუთი კაცი, გარდა აჯიამუღოვისა, ვიკრიფებოდით ბიბლიოთეკის ჩასაბარებლათ, მაგრამ ჩაბარება ვერ ხერხდებოდა, აჯიამუღოვი ახლაც ადარ გვევარებოდა. ჩვენთვის, რასაკვირველია სულ ერთი იყო ბ-ნი აჯიამუღოვი ჩაგვარებდა ბიბლიოთეკას, თუ მისი ამხანაგი თ. ჯ. კ—შვილი, მაგრამ ამ უკანასკნელმა საკრებთ არ იცოდა ბიბლიოთეკის ვითარება; არ ჩანდა სოციალურ წიგნები, არ ჩანდა ჯადო-ფარების სურათები და სხვა. ამიტომ აჯიამუღოვის დასწრება ჩაბარების დროს საჭირო იყო. მაგრამ აჯიამუღოვი არ მოიხურვა მოეხდა თავისი უკანასკნელი მოკვლეობა ბიბლიოთეკისადმი და ჩვენ გარდა 2 მ. და 53 კ, ანკარში მოუტყვლათ დაკვატრანეთ, რაც ბიბლიოთეკას ხელთ ეჭირა ამ დროს თელავის ბიბლიოთეკა შეტათ უხუცესო მდგომარეობაში იყო. მას კასაში ქონდა 2 მ. და 53 კ. და ვალი კი ემართა (სახლის ქონა) 132 მ. სახლის მატრონმა, ბ-ნი გეურქოვმა, სანივარი შეიტანა სასამართლოში 132 მანეთისა, უწებდაც მოკვირდა. შეიძლება ბიბლიოთეკა სამუდამოთ დაღუბულიყო.

\*) ეს წერილი „ივერიის“ რედაქციას არ დაუბეჭდია.

ბ-ნი აჯიამუღოვი კი ამ დროს ბიბლიოთეკის 60 მ. კატარას სწავლი, რომელიც შამკიდა ბიბლიოთეკის სასარგებლოთ არაფერიცაღერათ (კრძია კაცის სასელობაზე) გამართულ წარმოდგენებში.

ჩვენ მოვსთხოვეთ ბ-ნი აჯიამუღოვის ეს ფუნქციონირება სუსა: ამ ფულით ბიბლიოთეკისათვის წიგნები უნდა ვივიდოთო. ბ-ნი აჯიამუღოვი წასულია წლის საფურცელში ვებრდებოდა წიგნებს, ესეა კი საშთარი გადის, გაზაფხულიც მალე მოგა და წიგნები კი არსად ჩანს. გასულ კენკენისთვის ბიბლიოთეკის წევრთა საზოგადო კრებაზე კომისია ამოიჩინეს, რომელსაც უნდა შეემოწმებინა, თუ რა უფო აქნობამდ ს აჯიამუღოვი ექვსი თუშინა ფული. სამწუხაროთ კომისიამ იგივე მოახსენა შეორეთ დაწამულ საზოგადო კრებას, რაც ბ-ნი აჯიამუღოვისაგან არა ერთსულ გაკვირვონა: „წიგნი მალე იქნებოდა“. ბ-ნი აჯიამუღოვი ჩვენ ვკისარუდურებს: საფურცელში ქადაქმა იყო და კონტრანში (?) შეკვლა არ იკისრა რომ წიგნები წამოდებოდა. ჩვენ კონტრანში ვერ შევიარეთ, და ეს აჯიამუღოვი როგორც უნდა, ისე ჩასთავადოს, მაგრამ ნუ თუ საფურცელს დაწყებულა აქნობამდა იმ წიგნების წამოდება არავინ გამოუჩნდა?

ბ-ნი აჯიამუღოვი ბრძანებს, რომელი ჭკუათა შეფული ხელს მოაწერს დავთრებში ბიბლიოთეკას საკრებთ მადგელო და შევე უნდა იტყვიან: სიცრუეა! თუ ბიბლიოთეკა ჩაკიბარეთ, აბა ერთა ვეაბმანეთ რამდენა წიგნი ჩაკვანარეთ, რამდენი აკვი და ან სხვა. ან სად არის ოქმი, რომელიც უნდა შევდგინათ დასწრე შირთ და რომელმაც უნდა აღგენუსათ თუ რას ჩაკვანარებდით? ვახს სამკითხველს ჩაბარება მარტო სატყვიო ვეთდება?

ბ-ნი აჯიამუღოვი თავის წერილში რადაც კომისიას იხსენიებს, რომელმაც ვითომ მისა ბრალდება ვაჩრია. ჩვენ ამგვარი კომისია არ ვიცით და არც სადმე მოკვანარებია წერალში და ამიტომ ძალა-უნებურათ ვაკვირებთ „აქედან-ქანში“ მოთაკრულ მატრას ამბიდან, „ქურდს ქული ეწვინა“.

დასასრულ საჭიროთ ვრაცხ მოვიხსენიო, რომ ჩვენ ამით ვათაკვი ბ-ნი აჯიამუღოვის უკველავე ვამათს გასეთას ფურცლე-ბზე თელავის სამკითხველს შესახებ. თელავის ბიბლიოთეკას ახლას სხვება მატრონობენ და როგორც ისინა, ისე ადგილობრივი საზოგადოება ახლო მამკვალში გამოარკვეს, თუ როგორ სამსახურს უწევდა ბ-ნი აჯიამუღოვი სამკითხველს უკანასკნელ ხანებში და ან როგორ ჩაბარა სხვას.

ვლ. ე-შვილი.

ნება ვიბოძეთ თქვენ მატრეველ გასეთა „კვალის“ სამუალებით უკუეთათაღესა მადლობა გამოვუხადოთ ქ-ნ სოფია მიხეილის ასულს ჩხარტაშვილასს, რომელმაც ქართველ მოწაფეებს ერთი წლით გასეთი „კვალი“ გამოგვიწერა.  
ერევანი.

რედაქტ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

საბოლოოვიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„კ ვ ა ლ ი“

(წელიწადი მეთერთმეტე)

გამოვა 1903 წელსაც ყოველ კვირა დღეს 1—3 თაბახამდე. გასეთი წლიურათ დირს თფილისში 7 მან., თფილისს გარეთ 8 მან., ხანუვარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ

4 მან., ხელს სამი თვით 2 მან. თათხ ნომერს სამ შაურათ. ადრესის გამოცვლა თფილისს გარეთ დირს ორ აბაზათ.

ხელის მოწერებს შეუძლიათ წილს ფულა ნაწილ-ნაწილათაგ შემოიტანონ.

ხელის მოწერა მიაღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლას ქუჩა, თავად ახნაურბის ქარვასლას); რკინის გზის სადგურზე შირველი კლასის ბუფეტში, ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში.

ქუთაისში: მიტროფანე ლადაძესთან, ვ. ბუკნაძესთან წიგნის მაღაზიაში და ქუთ. გამომცემელ ამხანაგბის კიოსკში; ბათუმში სპირიდონ ჭელიძის წიგნის მაღაზიაში; ოზურგეთში და ასლ-სენაკში—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში; ჭიათურაში—კალისტრატე ჭიჭინაძესთან და გერსამიე ბერაძესთან; ყვირილასში—ივანე არდიშვილთან; დაბა ხონში—სახალხო სამკაიხველაში; ძველ-სენაკში—არსენ წითლაძესთან; ოზურგეთში—დემეტრე შავაშვილთან; საბუნჩაში—დიმიტრა შელაძესთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „КВАЛИ“.

კ ვ თ ა ი ს ი ს

საცდელი მინდორი

აუწყებს ბბ. მეურნეთ, რომ პარასკევობით და კვირაობით ის ყიდის ერთი და ორი წლის დამყნილ

ხეხილის ნერგს

ორორ ვაშრათ ძირს.

ქ. ქუთაისი, პუშკინის ქუჩა; ბ. ლალიძის ხელოვნურათ მომზადებულ ბილგულობის წყლის ზავოდის ეზო.

გამოვიდა და იყიდება

ყველგან „ქართვ. შორის წერა-კით. გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

გუნების ცოდნა.

I. ზღაბური.

26 სურათით.

თარგმანი ვ. სურგულაძისა. ფასი 25 კაპ.

II. ი. გოგებაშვილი.

ასპინძის მემორიული

ისტორიული აზბავი. ორის სურათით და ქარვასლასში წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც. ადრესი: Тифлисъ. Общество распротр. грамотности среди гузинь.



ბრ. ჩაუკავინაძის

ქართული კედლის

კალენდარი

1903 წ.

ისყიდება ყოველგან.

ფასი 40 კაპ.

(2—2)

ქართულ ღრამაბიულ საზოგადოების გამგეობა

აუწყებს საპრემიოთ წარმოღვენილ

პიესების ავტორებს.

რომ არც ერთი პიესა არ იქმნა ზრემაით დაჯილდოვებული და დღეიდან ორის თვის განმავლობაში ავტორებს შეუძლიათ მოიკითხოონ და უკანვე მიიღონ პიესები, ყოველ დღე დილის 11-დან 1-ს საათამდე; უნდა მიმართონ საზოგადოების კანტორაში აღმინისტრატორს ნახუცრიშვილს.

(3—2)

მიიღება ხელის მოწერა 1903 წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელი“-ზე

სურათებიანის დამატებ თ კვირაში ორჯელ

ყოველ თვეური ქურნალი

„მოამბე“

(წილაწადი მუათე)

ფასი ქურნალი სია:

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ გარედ:
ერთის წლით . . . 10 მ.	ერთის წლით . . . 13 მ.
ექვსის თვით . . . 6 „	ექვსის თვით . . . 7 „
სამის თვით . . . 3 „	სამის თვით . . . 5 „

ყოველ დღიური გაზათი

„ცნობის ფურცელი“

ორის სურათებიანის დამატებით

(წილაწადი მერვე)

ფასი გაზათისა გაზაზანი:

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
ერთის წლით . . . 6 მ.	ერთის წლით . . . 9 მ.
ექვსის თვით . . . 4 „	ექვსის თვით . . . 5 „
ერთის თვით . . . 75 კ.	ერთის თვით . . . 90 კ.

ვინც „მოამბეს“ მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“-ს სურათებიანის დამატებით უფასოდ გაეგზავნებათ, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელისმოწერისათანავე უნდა იქნეს შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება ორივე გამომცემაზე:

პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მ. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე 3 მ., 1-ლ აგვისტომდე—3 მან.

რედაქცია და კანტორა იწყობება ვანქის დიდ ქუჩაზე. ტელეფონი № 372

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.